# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 27 მარტი 2004 №68 (2087) | ფასი 50 თეთრი


# ალე ალენ!

## კილომეტრები მეტრის გასაცნობად

საქართველოს ნაკრები გერმანელ ახალგაზრდებთან მატჩისწინა შეკრებას იწყებს. მწვრთნელი ალენ ჟირესი, მისი თანაშემწე გია გურული, ხუთი ფეხბურთელი და ფეხბურთის ფედერაციის რამდენიმე მუშაკი — აი, იმ დელეგაციის შემადგენლობა, რომელიც დღეს ფრანკფურტს მიფრინავს, იქიდან კი მანჰაიმში ჩავა.

დავით კვირკველია, ლადო ახალაია, ზურაბ მამალაძე, რევაზ ქემოკლიძე, გიორგი ნემსაძე — მხოლოდ ეს ფეხბურთელები მიემგზავრებიან თბილისიდან. დანარჩენი 14 კი მათ ხვალ-ზეგ მანჰაიმშივე შეუერთდება. უქმეებზე ქართველი ლეგიონერები კლუბებში ითამაშებენ და ნაკრებს მერე ჩააკითხავენ.

შესაძლოა, ეროვნულ გუნდს გერმანიაშივე დაემატოს „შალკეს" ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი. ის, მოგეხსენებათ, ორი კვირის წინ დაშავდა და ვარჯიში ორიოდ დღის წინ განაახლა. თუ ლევანმა დღეს „ბოხუმის" წინააღმდეგ ითამაშა, მაშინ მას მანჰაიმშიც ვიხილავთ, თუ არა, კობიაშვილი ახალი მწვრთნელის გასაცნობად ნაკრებს მაინც მიაკითხავს.

შეგახსენებთ, რომ მატჩი მანჰაიმში 30 მარტს ჩვენი დროით თორმეტის ნახევარზე დაიწყება და **DSF**-ი პირდაპირ ეთერში გადასცემს.



# რა დროს ფილოსოფიაა! დღეს ბევრი რამე გაიასდება

ბორჯღალოსნებისთვის წლევანდელი ერთა თასი ალბათ ისე არ წარიმართა, როგორც ისინი და მათი ქომაგები ისურვებდნენ. ბოლო მეტოქედაც უფრო სუსტი გუნდის ხილვა გაგვიხარდებოდა, მაგრამ როგორც ფილოსოფოსები და საქართველოს რაგბის კავშირი ამბობენ — ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა.

დღეს ბორჯღალოსნები პროვინციულ ქალაქ იასში რუმინეთის ნაკრებს ხვდებიან. ეს ჩვენების მეორე სტუმრობაა ანთიმოზ ივერიელის მეორე სამშობლოში და პირველი როგორ დასრულდა, ყველა ტკბილად ვიხსენებთ — 2001 წელს ბორჯღალოსნებმა პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად დაამარცხეს რუმინელი „მუხის ფოთლები" და ევროპის მცირე სარაგბო ერთა თასი მოიპოვეს.

დღეს სრულდება ევროპის დიდი ექვსეულის შეხლებიც. მთავარ ჯახს პარიზი მასპინძლობს, ჩემპიონის ვინაობას ფრანგებისა და ინგლისელების ისტორიული კვეთება გაარკვევს.

ამასობაში კი ჰონკონგში გაჩაღდა შვიდკაცა რაგბის სუპერტურნირი. შორეულ აღმოსავლეთში პირველად ჩასულმა საქართველომ იქ გამოსვლა შოტლანდიასთან 0:23 მარცხით დაიწყო.



სიონი — დინამო 3:2. ბოლნისელ ბორის გონჩაროვის მესამე გოლი დავით გვარამაძის კარში

| I-VI ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 26 |
| სიონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 24 |
| თბილისი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 22 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 22 |
| დილა | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 19 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 19 |

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 23 |
| ბათუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 16 |
| მცხეთა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 14 |
| კოლხეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 14 |
| სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 8 |
| მერცხალი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 6 |

# თბილისური დერბი ფრანგული კომპლიმენტით



„თბილის"— „ვიტ ჯორჯიას" ნამატჩევს ჩვენი ეროვნული ნაკრების დამრიგებელმა ალენ ჟირესმა მისი თანაშემწის, გია გურულის თარჯიმნობით ჟურნალისტთა რამდენიმე შეკითხვას უპასუხა.

ჟირესმა თქვა, რომ რაც კი საქართველოში მატჩები უნახავს, „თბილისი" — „ვიტ ჯორჯია" ყველაზე ტემპიანი თამაში გამოდგა — ბურთი უფრო ხშირად მიდიოდა წინ და უფრო მეტი მოძრაობა იყოო.

ფრანგმა ისიც დასძინა, ყველა ფეხბურთელს ნაკრების კანდიდატად მივიჩნევ, თუ ვინ მომეწონა, იმას მხოლოდ მაშინ შეიტყობთ, როცა მორიგი მატჩისთვის შემადგენლობას გამოვაცხადებო.

რაც შეეხება კლუბთა ნაკრების შექმნის იდეას, ჟირესმა ის მოიწონა და თქვა, რომ ფეხბურთელებს ამით დამატებით საშუალება მიეცემათ, წინ წაიწიონ და თავი წარმოაჩინონ, მაგრამ ამ ნაკრების პრობლემა შესაძლოა, სპარინგ-პარტნიორის მოძებნა გახდესო.

# ბოლნისური ისტორია

## სიონმა სამ ქულაზე მეტი ჩაიწერა: დინამო

საქართველოს 15 ჩემპიონატი პირველი ლიგა მეორე წრე **18 ტური**

ქობულეთი. 26 მარტი. 15 საათი. ცენტრალური. 200

## ქობულეთი 3:1 ამერი

| |
|---|
| 0:1 რუსია (63), 1:1 გვიჩია (71), 2:1 ღლონტი (74), 3:1 ელბაქიძე (76ს.კ.) |
| კაიდარაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (22, მეკარე) |

| | |
|---|---|
| ქობულეთი: გაბუნია, ბერიძე, თურმანიძე, ყალიჩავა, ოქროპირიძე, ჩახუნაშვილი, გვიჩია, ჯინჭარაძე, ღლონტი, ხუჭუა (კვერნაძე 61), კრავეიშვილი (გოგიშვილი 83) მწვრთნელი: ავთანდილ გორგილაძე | ამერი: ასლანაძე, კედელაშვილი, ხვადაგიანი, ელბაქიძე, შონია (გარუჩავა 62), განუგრავა (ბერიანიძე 72), ვერემჩუკი, ხუბუა, სილაგავა, კაიდარაშვილი, რუსია (გოცირიძე 75) მწვრთნელი: თამაზ კოსტავა |

გაფრთხილება: კაიდარაშვილი (39), ოქროპირიძე (50), ელბაქიძე (79), ღლონტი (83)

მსაჯები: ს. კვარაცხელია; ზ. ერქვანია, გ. ცირდავა; გ. დოგრაშვილი

# ძნელი ასახსნელი ჯადო თუ ლოგიკა?



„ამერმა“ ოთხი ნაღდი მომენტი გააცუდა, ამათში ერთი პენალტიც

„ქობულეთის“ დამარცხება, მიუხედავად იმისა, რომ ლიდერია და შინ თამაშობდა, „ამერისთვის“ შეუძლებელი არ იყო. მეტიც — მაინცდამაინც ძნელიც არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

ზემოთ ნათქვამის დასაბუთება ვცადოთ.

მე-13 წუთზე გიორგი განუგრავამ გელა ხუბუას კარგი პასი მისცა, ისიც მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შეიჭრა და ქობულეთელთა კარის გასწვრივ ჩააწოდა. იქ კი მამუკა რუსიას სულ რამდენიმე სანტიმეტრი დააკლდა, ბურთს რომ მისწვდომოდა და ორიოდ მეტრიდან ცარიელ კარში შეეგდო.

21-ე წუთზე რუსიამ ალექსანდრე კაიდარაშვილი დატოვა მეკარესთან პირისპირ. კაიდარაშვილმა ბურთი გაიგდო და თვითონაც უნდა შეჰყოლოდა, რომ პაატა გაბუნიამ წააქცია და არბიტრმა კვარაცხელიამაც პენალტი დანიშნა. დარტყმა კაიდარაშვილმა ითავა, მაგრამ უხეიროდ შეასრულა და გაბუნიამ იოლად მოიგერია.

43-ე წუთზე თავად რუსია გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბურთი მეკარეს გაარტყა.

ერთი სიტყვით, პირველ ტაიმში „ამერმა“ სამი უაღრესად ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, ქობულეთელებს კი მხოლოდ ერთი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი ჰქონდათ, როცა ჯუმბერ ბერიძის საჯარიმო დარტყმა დავით ასლანაძემ ნახტომში მოიხელთა.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე გიორგი სილაგავას ჩაწოდებულ ბურთს კაიდარაშვილმა თავი დაჰკრა და ოდნავ ააცილა, რამდენიმე წუთში კი პაატა გაბუნიამ მორიგი გმირობა ჩაიდინა — რუსიას თავით დარტყმული ბურთი უსწრაფესი რეაქციით დაბალი კუთხიდან გამოაძრო.

ამდენი გამოუყენებელი მომენტის მერე „ამერმა“ მაინც გაიტანა. სილაგავას ჯარიმას რუსიას თავური და ბურთის კუთხურზე გადაგდება მოჰყვა. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს კი ისევ რუსიამ დაარტყა და ანგარიშიც გაიხსნა.

აი, რა მოხდა ამის მერე, ანუ რა დაემართა „ამერს“, ძნელი ასახსნელია, გუნდი ერთი ხელის დაკვრით მოიშალა და დაემართა ის, რაც ფეხბურთში არცთუ ხშირად ხდება — ხუთწუთიან მონაკვეთში სამი გოლი გაუშვა.

„ქობულეთმა“ ზაზა გვიჩიას ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა, ასლანაძის ნახტომი ამაო გამოდგა.

გოლით გულმოცემულმა მასპინძლებმა ისევ მძლავრად შეუტიეს. ამერელებმა კი არათუ ბურთის გონივრულად ამოტანა, უბრალოდ, საჯარიმოდან მოშორებაც ვერ მოახერხეს და შედეგად ავთანდილ ღლონტის გოლი მიიღეს. კიდევ ორ წუთში კი ქობულეთელთა ფლანგური ჩაწოდება გიორგი ელბაქიძემ საკუთარ კარში ჩაჭრა.

ვითარების ასე ელვისებურად შეცვლის მერე თამაშმა ინტერესი დაკარგა და დარჩენილ დროში გამოსარჩევი არაფერი მომხდარა, „ქობულეთმა“ კი ამ გამარჯვებით ლიდერობა განიმტკიცა.

**ბოტე ბებელია**

საქართველოს 15 ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა მეორე ეტაპი **2 ტური**

# ბოლნისში პურმარილია დინამოში აღარც მარილია

**კობა ინასარიძე** ბოლნისიდან

ბოლნისი. 26 მარტი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 2 500 (ტევადობა 3 500)

## სიონი 3:2 დინამო

| |
|---|
| 1:0 გაბისკირია (5), 1:1 კვირკველია (7), 2:1 ონიანი (25), 3:1 გონჩაროვი (49), 3:2 წერეთელი (61) |

| | |
|---|---|
| სიონი: ვოლკოვი, ბაქრაძე, ქიჭვეიშვილი, ონიანი, გილაური, გაბისკირია (გ. დოლიძე 81), ბურნაძე, უგრეხელიძე, სიჭინავა, გონჩაროვი (დარსანია 89), გ. შენგელია (სვანიძე 66) სათადარიგონი: ლაბაძე, გვასალია, ოქროპირიძე, მიქელაძე მწვრთნელი: თემურ მახარაძე | დინამო: გვარამაძე, კარლოსი (კაკალაძე 46), წერეთელი, შაშიაშვილი, სილაგაძე, კვირკველია, გოგობერიშვილი, ნემსაძე, ახალაია, ანჩაბაძე, იაშვილი სათადარიგონი: თოთლაძე, კაშია, ექონია, ქოქიაშვილი, რომერო, მელქაძე მწვრთნელი: ივო შუშაკი |

გაფრთხილება: ბაქრაძე (63), ანჩაბაძე (63), ვოლკოვი (74), ახალაია (76), ონიანი (76), იაშვილი (90)

მსაჯები: მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა; დირექტორი: პ. ბურჯალიანი

**უზომოდ** გაიხარა „სიონმა“ და მისმა ქომაგმა — ბოლნისელებმა „დინამოს“ მოუგეს, ეს ჩემპიონატების ისტორიაში პირველად მოხდა. სათასო შეხვედრაში „სიონს“ „დინამო“ ერთხელ კი ჰყავს დამარცხებული, მაგრამ ჩემპიონატში, მით უმეტეს, ჩემპიონატის გადამწყვეტ ფაზაში ჩემპიონების ძლევამ მათთვის სულ სხვა ფასი დაიდო. ხარობდა „სიონი“ და უხაროდა ხალხს. იყო რაღაც ზეიმის მაგვარი, ხვევნა-კოცნა...

„სიონმა“ დამსახურებულად, ომში მოიგო. მატჩის განმავლობაში არც ერთი ბოლნისელი არ გაჩერებულა, მეტოქისთვის უბრძოლველად მტკაველი არ დაუთმიათ და სამი ქულაც ალალად მიიღეს.

ხუთი წუთის დაწყებული იყო მატჩი, ფეხბურთელებს ბურთი ხეირიანად არც გაეგორებინათ, როცა ანგარიში უკვე „სიონისა“ გახდა.

საჯარიმო მოედნის კუთხესთან დანიშნული ჯარიმა გაბისკირიამ გოლად გარდასახა. ბურთი გვარამაძის წინ დაეცა და კარში ისე შეგორდა.

„დინამომ“ წუთშივე მოახერხა გათანაბრება. სტუმართა პირველივე შეტევა საგოლე აღმოჩნდა. სილაგაძის გრძელი პასი და კვირკველიას თამაში ერთ რამედ ღირდა — გოლი მართლაც ჩინებული გამოვიდა.

სილაგაძემ, რომელმაც ჩემპიონატში „დინამოს“ მაისურით პირველად ითამაშა, მოედნის თავის ნახევრიდან ფლანგზე სიჩქარეაკრეფილ კვირკველიას დააწია ბურთი, რომელმაც გილაურს დაასწრო, ბურთი ჰაერშივე მკერდით გაისწორა და ვოლკოვს ახლო კუთხეში გაუტანა.

თამაში თავიდან დაიწყო. მეტოქეები თითქოს ფრთხილობდნენო, რაც გასაკვირი არ იყო. თუმცა ტემპი, ბრძოლა, ძიძგილაობა „სიონის“ მეორე გოლამდე მატჩს არ დაჰკლებია. არც მეორე გოლამდე და არც მის შემდეგ.

ბოლნისელები კი მეორედ დინამოელებმა დააწინაურეს. გოლი მცველების დაუდევრობას მოჰყვა. შენგელიამ რომ მარჯვნიდან ჩააწოდა, წერეთელმა და კარლოსმა ერთდროულად ბურთი კარიდან სამ-ოთხ მეტრში ონიანს დასარტყმელად დაუგდეს. მასპინძელმაც ისარგებლა ძლევენით და გაიტანა. ორიოდ წუთში კი „დინამო“ გადარჩა — გონჩაროვის შორიდან დარტყმული გვარამაძეს ხელებიდან გაუვარდა და ბურთი კარის ხაზზე დაიჭირა.

„დინამო“ რაღაც უმარილოდ თამაშობდა. ტაიმის დარჩენილი დრო თბილისელთა უპირატესობით კი გაილია, მაგრამ ვოლკოვის კართან რეალური ხიფათი მხოლოდ ერთხელ შექმნეს: ახალაია მასპინძლებმა ზედ საჯარიმოს ხაზზე დასცეს, პენალტის ნიშნულის გაყოლებაზე. მთელი „სიონი“ საჯარიმოში გამაგრდა. კედელში ვოლკოვმა სულ ხუთი კაცი დააყენა, თუმცა კვირკველიას დარტყმული სწორედ ამ კედელმა აისხლიტა.

შესვენებაზე შუშაკმა ინერტული კარლოსი თავდამსხმელ კაკალაძით შეცვალა, ფლანგზე ახალაია გადაისროლა, კაკალაძე კი იაშვილს შეუწყვილა და ის იყო, „დინამომ“ საქმე ხელი მოჰკიდა, მესამე გოლიც რომ მიიღო: კუთხურიდან გაბისკირიას ჩაწოდებულ ბურთზე თამაში გონჩაროვმა ყველას დაასწრო. მისი თავური ზუსტი გამოდგა. „დინამომ“ ბოლოს სამი და მეტი გოლი შარშანწინ, ფოთში „კოლხეთთან“ გაუშვა, „ტირანა“ ხომ ცალკე სათქმელია.

ვერ ვიტყვით, თბილისელებმა „სიონს“ უკანმოუხედავად შეუტიესო, თუმცა თამაში მასპინძელთა ნახევარზე გაგრძელდა. რეალურ საგოლე მომენტებამდე საქმე არ მისულა, „სიონის“ მცველები ყოჩაღობდნენ და თავდამსხმელებს ვოლკოვის არ უშვებდნენ. გოლი კი ისევ კუთხურს მოჰყვა. ანჩაბაძის ჩაწოდებულზე იაშვილმა დაარტყა, კარის წინ არეულ მცველ-შემტევთა შორის ბურთს ფეხი წერეთელმა წაჰკრა და სხვაობაც შემცირდა.

„დინამოს“ თამაშის გადარჩენის შანსი მიეცა. თბილისელები მოედანს დაეპატრონენ, მაგრამ ხეირი ვეღარ ნახეს. არც ისეთი მომენტები შეუქმნიათ, ვთქვათ, „სიონი“ გადარჩაო. „დინამოს“ ქაოსურ შეტევებს ბოლნისელები ბოლომდე მაგრად დაუდგნენ.

*ივო შუშაკი:* ვულოცავ „სიონს“ დამსახურებულ გამარჯვებას. არ ვიტყვი, რომ რომელიმე დინამოელმა ცუდად ითამაშა და მისი შეცდომების გამო წავაგეთ. მთლიანად გუნდმა წააგო, ელემენტარული შეცდომები ძვირად დაგვიჯდა. სამიდან ორი გოლი ტაიმების დასაწყისში გავუშვით, რამაც გუნდი დათრგუნა. სამი გოლის შემდეგ თამაშის გადარჩენა ძალიან ძნელი საქმეა და წასაგებად განწირული ხარ.

*თემურ მახარაძე:* ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი გვყავდა, გილაურმა და ბაქრაძემ ნემსებით ითამაშეს, თუმცა, როგორც ნახეთ, თავი არც ერთს დაუზოგავს. ვფიქრობ სამი ქულა დავიმსახურეთ. ასეთი შედეგი სწორმა ტაქტიკამ და მონდომებამ მოიტანა. ძალიან მეშინოდა, რომ „დინამოსთან“ მატჩი მატჩამდე არ წაგვეგო, როგორც ხშირად ხდება ხოლმე. დღეს ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ მონდომებას, გულიან თამაშს აუცილებლად მოჰყვება კარგი შედეგი.

## საუკეთესო სიონი

*„სიონმა“ იომა და ნაღდ ბრძოლაში ნაღდად ალალად დაამარცხა ჩემპიონი. „თამაზ სტეფანიაზე“ ბოლნისელები ერთმანეთზე უკეთესად, გულმოდგინედ თამაშობდნენ. მუშკეტერთა დევიზი — ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის, სწორედაც რომ გუშინდელ „სიონს“ მიესადაგება.*



იაშვილის (№20) დარტყმული ბურთი წერეთელმა კი შეაგდო, მაგრამ დინამოელებმა მეტი ვეღარა შეძლეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სად არის სხვაგან ახალი მინდორი?!

## ვიტელებს ვიტამინები აკლიათ



თბილისი. 26 მარტი. 15 საათი. ისანი. 1 500 (ტევადობა 3 000)

### თბილისი 1:0 ვიტ ჯორჯია

1:0 გ. ნუგ. ჭელიძე (17)

| თბილისი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| თბილისი: გრიშიკაშვილი, ფიფია, მესხი, დ. ოდიკაძე, ელიავა, აფციაური (ჯიქია 74), გ. ნუგ. ჭელიძე (გოგიტა გოგუა 78), ქემოკლიძე, გ. კვარაცხელია, ხოჯავა, გ. ნოდ. ჭელიძე (მიკუჩაძე 85) *სათადარიგონი:* ნაჭყებია; გეწაძე, სიდამონიძე, მიქიაშვილი | ვიტ ჯორჯია: მერლანი, იმედაშვილი, ლ. მერებაშვილი (გველესიანი 67), ინწკირველი, დეკანოსიძე, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, ადამია, ვ. გოჩაშვილი, რ. გოცირიძე .(დათუნაიშვილი 46), მარცვალაძე *სათადარიგონი:* ბედიაშვილი; კვახაძე, ი. შენგელია, მალიჩავა, ე. მერებაშვილი |
| მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი | მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე |

გაფრთხილება: ხოჯავა (67), გოჩაშვილი (83)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ლ, მიქელაძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: ს. კოტრიკაძე

**დავით თავართქილაძე**

**„თბილისთან"** სტუმრად 0:1 თუ წააგებ, ამით ქვეყანა არ დაიქცევა — „თბილისი" საინტერესო, მოძრავი გუნდია, მაგრამ „ვიტ ჯორჯიამ" ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია სეზონის მეორე ეტაპზე, თანაც გუშინ ვიტელები ერთობ ინერტულად გამოიყურებოდნენ.

„ვიტ ჯორჯიას" ადრეც წაუგია თამაშები, მაგრამ ასეთი დუნე და უნიათო არავის ახსოვს. „თბილისმა" კი თავისი თამაში ითამაშა და მოიგო.

მასპინძელმა სტუმარს სწრაფი თამაში შესთავაზა. ვიტელებს სწრაფი გარემარბები ჰყავთ — ოთარ მარცვალაძე და გიორგი ადამია მონდომებულები ჩანდნენ, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას" იერიშებს აგრესიულობა მაინც აკლდა.

„თბილისიდან" კი შემტევი შუახაზელი გოჩა ხოჯავა გამოირჩა, ვინაც რამდენჯერმე ციბრუტივით დააბზრიალა მეტოქის დაცვითი ეშელონები. ხოჯავას პასით თორნიკე აფციაურს მართებდა გოლის გატანა, მაგრამ მირზა მერლანმა იყოჩაღა — კუთხურზე მოიგერია ბურთი.

სტუმრებსაც ჰქონდათ შანსი, თუმც მარცვალაძემ დეკანოსიძის ჩინებული პასი კარგად ვერ დაიმორჩილა და მერე ხეირიანადაც ვერ დაარტყა — სუსტ დარტყმულს სოსო გრიშიკაშვილი იოლად გაუმკლავდა.

ამასობაში ხოჯავამ ერთხელაც გაილაღა — წინ მოხდენილად წაიწია და რაღაცნაირი, დამალული პასით გიორგი ჭელიძე გაიყვანა საგოლე პოზიციაზე — ჭელიძემ გარე ტერფით დააბზრიალა ბურთი მერლანის კარის შორეულ კუთხეში.

„ვიტ ჯორჯიამ" რამდენიმე მწვავე იერიში მიიტანა „თბილისზე", მაგრამ რასაც აშკარა საგოლე მომენტი ჰქვია, ვერ გამორჩა. მთლიანობაში კი პირველმა ტაიმმა ჩვენი ჩემპიონატისთვის მაღალ ტემპში და საინტერესოდ ჩაიარა.

შესვენებაზე საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ალენ ჟირესს საფეხბურთო აკადემია „ოლიმპის" სახელით ყოფილმა ფეხბურთელმა მამუკა ფანცულაიამ საჩუქრად ცხენის ქანდაკი გადასცა.

მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯიას" უფრო შლეგად უნდა შეეტია, მაგრამ ასე არ მოხდა, თამაშიც გაფუჭდა, სისწრაფემ და აგრესიულობამ იკლო. ვიტელებმა ოდენ ერთი-ორჯერ მოახერხეს ნიათიანი შეტევა, „თბილისი" კი ბოლო წუთებზე უფრო მხნედ ათამაშდა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში მოიკოჭლებდა.

*გიორგი დევდარიანი:* „თბილისს" თავისი მაქსიმუმი ჯერ არ უჩვენებია, რაც მომდევნო მატჩებში უნდა მოვახერხოთ. შინ კარგ მინდორზე კი ვთამაშობთ, მაგრამ გასვლაზე სხვანაირად იქნება — ცუდ მოედანზე თამაში ფეხბურთი კი არა, სულ სხვა სპორტია.

*ზურაბ ბერიძე:* მეტოქემ კარგად ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა. ჩვენს გუნდში რაღაც პრობლემებია და მათ მივხედავთ. წაგების ფეხბურთელებზე გადაბრალება კი მე არ მიყვარს

**საუკეთესო**

**გოჩა ხოჯავა**



*პირველ ტაიმში თბილისელთა თითქმის ყველა მწვავე იერიშის თავი და თავი გოჩა ხოჯავა იყო. მანვე გაუშანსა საგოლე პასი გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძეს. მეორე ტაიმში ხოჯავა თითქოს ჩრდილში მოექცა, მაგრამ ბოლო წუთებზე კვლავ გააქტიურდა და ვიტელთა დაცვაც რამდენჯერმე დაჩხვლიტა.*



თბილისი. 26 მარტი. 15 საათი. ოლიმპიკი. 1 000 მაყურებელი

### სპარტაკი 0:1 მცხეთა

0:1 თოდუა (67)

| სპარტაკი | მცხეთა |
|---|---|
| სპარტაკი: დევაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ჩიკვილაძე, ლ. ვაშაკიძე, ჯანგიძე, თ. მჭედლიშვილი (კ. შალამბერიძე 74), ა. იმნაიშვილი, კვერენჩხილაძე (ი. სამხარაძე 46), მუშკუდიანი მაღლაფერიძე 46), ტატანაშვილი *სათადარიგონი:* გრძელიძე; ტაბიძე, ს. შელია, ლ. შენგელია | მცხეთა: ცინაძე, ჩაჩუა, ჯაფარიძე, გვარუციძე, რაქვიაშვილი, ლ. ქებაძე, კახნიაშვილი (ჟღენტი 73), ლ. ჩხაიძე (ბ. ნოზაძე 89), ხორავა, გ. თოდუა, ბესარაშვილი *სათადარიგონი:* თ. ოდიკაძე; პ. ნოზაძე, სეთურიძე, კიკალიშვილი, ვ. ქუთათელაძე |
| მწვრთნელი: მურთაზ ხურცილავა | მწვრთნელი: ჯანო ფოფხაძე |

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ურუშაძე (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია; დირექტორი: შ. ბაქრაძე

# სამი მეტრიდან ზედიზედ სამჯერ! აიდო!

**ლუკა თალაკვაძე**

**„სპარტაკისთვის"** „ვიტ ჯორჯიასთან" სათასო მატჩი ორმაგად მძიმე გამოდგა — მთელი ძალებიც შეალია და თან მამოძრავებელი — გიორგი კიკნაძე დაკარგა, ვინც ფეხს იტკივებს და „მცხეთასთან" ჯახს ტრიბუნიდან ადევნა თვალი.

მურთაზ ხურცილავას გუნდი თავიდან ტოლ-სწორად ეომა სტუმარს, თუმც მერე დაღლილობა დაეტყო და... ისე, „მცხეთას" საგრძნობი უპირატესობა ჰქონდაო, მაინც ვერ ვიტყოდით. მატჩი უფრო თანაბარი ჩანდა. მეტოქეებს სახიფათო მომენტის შექმნა უჭირდათ, მაგრამ რაც შეიქმნა, ყველას ერთი გადასწონიდა — აკაკი დევაძემ პირველ ტაიმში ისეთ სიტუაციაში იხსნა „სპარტაკი", მოყოლას აზრი არა აქვს — ეს უნდა ნახო! და ვინც ნახა, ათასამდე გულშემატკივარმა, მხურვალე ტაში არ დაიშურა ერთ დროს საქართველოს ნაკრების მეკარისთვის. და მაინც, შეძლებისდაგვარად, იმ მომენტს აღგიწერთ: თბილისელთა დაცვაში ნაპოვნ ნაპრალს მცხეთელებმა კარგი გაგრძელება მოუძებნეს, თოდუას ბურთი მიაწოდეს და დაიწყო: ერთი, ორი, სამი — დევაძემ სამიოდ მეტრიდან ზედიზედ სამჯერ უძლიერესად დარტყმული მოიგერია. ჰოდა, მანამდეც და, მით უმეტეს, ამის შემდეგ ტრიბუნების მთავარი სასაუბრო თემა დევაძე იყო.

„სპარტაკს" კი შეტევა უჭირდა. ტატანაშვილი თავდასხმაში კი აქტიურობდა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. მასპინძლები „მცხეთას" მეკარეს ვერ აწუხებდნენ.

შესვენება მურთაზ ხურცილავამ სწორედ საამისოდ გამოიყენა და მოედანზე სამხარაძე-მაღლაფერიძის დუეტი შეუშვა. ამასობაში „მცხეთამ" ტემპს უმატა და 67-ე წუთზე გოლიც გავიდა: ხორავამ ჟვანიას ბურთი მოჰპარა და უზადო პასით თოდუას გაატანინა — 0:1.

„სპარტაკი" გასათანაბრებლად გაიქაჩა, თუმც შეცვლაზე წუთის წინ შესულ კობა შალამბერიძეს იღბალმა აქცია ზურგი — მარჯვნიდან საჯარიმოში შესულმა სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ბურთმა შორეულ ძელს ჩაუზუზუნა. ბოლო წუთებში მასპინძელთა უპირატესობა უფრო გაიზარდა, თუმც ავთანდილ ორდინიძის სასტვენი რატომღაც სამცხეთოდ მოიმართა და ამით სტუმრებს ერთი-ორი მწვავე კონტრშეტევაც გამოუვიდათ.

*ნოდარ აკობია, „სპარტაკის" მწვრთნელი:* „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩმა ბევრი ძალა წაგვართვა, თავიდანვე ვშიშობდი, რომ ამას „მცხეთა" გამოიყენებდა. სამწუხაროდ, ასეც მოხდა. ბიჭებმა ვერანაირად ვერ მოასწრეს ძალების აღდგენა. მეტოქეს კი გამარჯვებას ვულოცავ.

*ჯანო ფოფხაძე:* ვიცოდი, რომ „სპარტაკი" სამი მცველით ითამაშებდა და ეს უნდა გამოგვეყენებინა. ფლანგებზე აქტიური თამაშით კონტრშეტევები მწვავე უნდა ყოფილიყო. ბიჭებმა ჩემი დავალება ბოლომდე მაინც ვერ შეასრულეს და ამის გამო ბოლო წუთებზე ძალიან გაგვიჭირდა.

**საუკეთესო**

**აკაკი დევაძე**



*გუშინდელი მატჩი ისეთი იყო, ან ერთდროულად რამდენიმე ფეხბურთელი უნდა გამოგვერჩია, ან არც ერთი. მაგრამ ის, რაც სპარტაკელმა აკაკი დევაძემ პირველ ტაიმში ჩაიდინა... ზედიზედ დარტყმული ისეთი სამი ბურთი აიღო, გარშემომყოფთ გაოცებისგან პირი დააღებინა. 32 წლის დევაძე სწორედ ის კაცია, ვისგანაც პატარა თანაგუნდელებმა დიდი ფეხბურთის ელემენტები უნდა ისწავლონ.*

საქართველოს 15 ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა მეორე ეტაპი

# 2 ტური

## ეს ის არ არის

გორი. 26 მარტი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 1 000 (ტევადობა 8 230)

### დილა 0:0 ლოკომოტივი

| | |
|---|---|
| დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, გ. ლომიძე, ზ. ლაცაბიძე, გ. ჩიტაია, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, ჯობაძე (საყვარელიძე 78), შატაკიშვილი, ძოძუაშვილი (გ. მოდებაძე 69), ლ. გოჩაშვილი. სათადარიგონი: თ. ილურიძე; ხანიშვილი, მაისურაძე, ბ. შელია, მებონია. მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი | ლოკომოტივი: მამალაძე, ი. ვაშაკიძე, ლ. სალუქვაძე, ორბელაძე, ხანიკიძე, მანჯავა, რ. სვანაძე, სახვაძე, დათვაძე (ძამსაშვილი 77), სოხელია (დ. დოლიძე 65), გ. ვ. მიქაძე (გაგუა 69). სათადარიგონი: ხაჩირაშვილი; ზამთარაძე, გ. ონიანი, ლილუაშვილი. მწვრთნელი: ზაურ სვანაძე |

გაფრთხილება: სოხელია (28), მიქაძე (60), ბალაშვილი (60), მანჯავა (77)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. ჯვარიძე; ი. კახიანი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

**პაატა კვანტალიანი** გორიდან

**ზედიზედ** მესამე თამაში ჩაამთავრა მშრალად „დილამ". გორელებს ვერც გააქვთ, არც უშვებენ და, ბუნებრივია, სატურნირო ცხრილშიც წინსვლა არ ეტყობათ.

„დილას" თავკაცი ზურაბ ხორგუაშვილი მატჩის წინ არც მალავდა, რომ უეჭველად მოგება სურდა „ლოკომოტივთან". ეგებ იმსახურებდნენ კიდეც სამ ქულას მასპინძლები, თუმც მატჩის ოქმს ბოლოს 0:0 შერჩა.

სანახაობრივად მოსაწყენმა თამაშმა ოთხიოდე საგოლე მომენტი დაიტია და აქედან სამი მასპინძლებისა იყო.

ნახევარ საათს ორივე გუნდი უხარისხო მოედნის ცენტრს ტკეპნიდა, დროის ამ მონაკვეთში შექმნილი ნახევარმომენტების აღწერით თავს არ შევაწყენთ და პირდაპირ იმ ეპიზოდზე ვთქვათ, სასწაულებრივ რომ გადაურჩნენ გოლს რკინიგზელები. წესით, ხიფათი არც უნდა შექმნილიყო, მაგრამ გამოცდილმა ქრისტეფორე შატაკიშვილმა 30-ოდე მეტრიდან დაარტყა. ბურთი უცნაურად ახტა მეკარის სიახლოვეს, მკერდში მოხვდა მამალაძეს და იქვე ჩასაფრებულ ძოძუაშვილს მიუგორდა. „დილას" შემტევმა მასზე ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი ბექა ჩიტაია შენიშნა, ამანაც ზუსტად დაარტყა ათიოდე მეტრიდან და... „ესა ის არ არი?" — იხუვლეს ტრიბუნაზე გორელებმა, მაგრამ ეს ის, ანუ გოლი, არ იყო — კარში შემავალ ბურთს ლოკომოტიველი მცველი გადაეღობა თავგანწირული ვარდნით და გადარჩა ზაურ სვანაძის გუნდი.

„ლოკომოტივს" გოლის გატანის ერთადერთი რეალური შანსი პირველი ტაიმის ბოლოს ჰქონდა — მიქაძე ორ მეტოქეს დაუძვრა და საჯარიმოში მყოფ სოსელიას ფეხზე დაასვა ბურთი. ამან დათვაძე დატოვა საგოლედ, თუმც ტანმორჩილ შემტევს მცირედ აუცდა ძლიერად გასროლილი.

მეორე ტაიმში სტუმარი, ფაქტობრივად, უუნარო გახლდათ. ზაურ სვანაძემ შეცვლებით სცადა თავისიანების გამოფხიზლება, თუმც უშედეგოდ. „დილამ" ვერმოგება თავის თავს უნდა დააბრალოს, რადგან მაინცდამაინც არც მასპინძლებს გამოუდვიათ დიდად თავი. ეგ იყო, სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ და ტრიბუნებზე რამდენჯერმე კიდევ შეჰყვირეს, ესა ის არ არიო, მაგრამ არა და არ გამოჩნდა „ის".

პირველ ტაიმში არა გვიშავდა, მაგრამ მეორე ნახევარში ცუდად ვითამაშეთ. გუნდით უკმაყოფილო ვარ, ქულით მადლობელი — გვითხრა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე *ზაურ სვანაძემ.*

*ზურაბ ხორგუაშვილს* კი დანაპირს არ უხსნიდა, აგრესია გვაკლდა, შედეგმა გული დამწყვიტა, უკმაყოფილო ვარ და ვხედავ, წინ ბევრი სამუშაო გვაქვსო.

**საუკეთესო**



***ქრისტეფორე შატაკიშვილი***

*უღიმღამო გორულ მატჩში ქრისტეფორე შატაკიშვილი გამოირჩეოდა. ბელარუსმოვლილი გამოცდილი მცველი საიმედო და მოულლელი გახლდათ მთელი მატჩის მანძილზე. შატაკიშვილის წყალობით „დილამ" საგოლე შანსი მოუსპო მეტოქეს და ქრისტეფორეს წამოწყებული იყო ის რამდენიმე შეტევაც, გოლის გატანის შანსი რომ გაუჩინა გორელებს.*

## შედით საჯარიმოში, მანდაც ჩოლოქია?!

ქუთაისი. 26 მარტი. 15 საათი. ტორპედო. 500 (ტევადობა 19 600)

### ტორპედო 2:0 ბათუმი

1:0 დავითაშვილი (8პ), 2:0 ნერგაძე (43)

| | |
|---|---|
| ტორპედო: სტურუა, მახვილაძე, ლ. ქელიძე, ს. თოდუა, გამეზარდაშვილი, კოშკაძე (მუმლაძე 61), ბოლქვაძე, ბაბუნაშვილი, დავითაშვილი (გ. დარსაძე 85), ნერგაძე, ქინქარაული (გ. ჩხეტიანი 69). სათადარიგონი: გ. გაბელია; მემარნიშვილი, ხუციშვილი, ადუაშვილი. მწვრთნელი: ოთარ გაბელია | ბათუმი: ქვაჩახია, ი. მახარაძე, ბეგლარ თედორაძე, გალოგრე, მანჩხავა, გვიანიძე, დარჩიძე (ი. ხაჭაპურიძე 48), კალანდია (ი. ბალაძე 34), ფირცხალაიშვილი, ბესიკ თედორაძე, სირბილაძე. სათადარიგონი: ბეჟანიძე, მ. სალუქვაძე, დიდია, რომანაძე, იალამიდი. მწვრთნელები: ასლან ბალაძე და ვალერიან ჩხარტიშვილი |

გაფრთხილება: ქვაჩახია (32), ქინქარაული (47)

გაძევება: ქვაჩახია (32), ჩხეტიანი (90)

მსაჯები: მ. მაისურაძე; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); გ. ვადჭკორია (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

**გია ამირანაშვილი** ქუთაისიდან

**თამაშამდე** „ტორპედო" და „ბათუმი" ქვეექვსეულის პირველ-მეორე ადგილებზე იყვნენ, რაც უმაღლეს ლიგაში დარჩენის გარანტიას იძლევა, თუმც სიმშვიდისთვის ორივე გუნდს რაც შეიძლება მეტი ქულა სჭირდება, ასე რომ, საბრძოლველად მიზეზი იყო. წინასწარ ვიტყვი, რომ ბრძოლა არ შედგა, მასპინძლებმა იოლად გაიმარჯვეს, რაც ნაწილობრივ სტუმართა მეკარის თავშეუკავებლობის ბრალია, თუმცა ამაზე ქვემოთ.

შეხვედრა „ტორპედოს" შეტევებით დაიწყო და ანგარიშიც მალე გაიხსნა. მე-8 წუთზე თოდუამ მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, დავითაშვილთან ჭიდილში ბურთი ხელზე მოხვდა ბეგლარ თედორაძეს და მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი, რომელიც სულიკომ დაარტყა და გაიტანა. ეს „აბრეზას" პირველი საჩემპიონატო გოლია ახალ კლუბში. რიონისპირელები ამის მერეც უფრო ვარგობდნენ, თუმც აღსანიშნი ერთი შეძლეს: ბაბუნაშვილის ძლიერი დარტყმა ქვაჩახიამ მოიგერია. სტუმრები მხოლოდ ერთხელ დაემუქრნენ სტურუას კარს, მაგრამ ფირცხალაიშვილმა არაზუსტად დაარტყა. საჯარიმოს გარშემო ქუთაისელების უნაყოფო ტრიალმა ერთ გულშემატკივარს გული გაუწვრილა და, შედით, ბიჭო, საჯარიმოში, მაქაც ჩოლოქი ხომ არ არისო, დაიძახა. მატჩის გადამწყვეტი მომენტი კი, რამაც ალბათ შედეგზეც იქონია გავლენა, 31-ე წუთზე მოხდა. ბაბუნაშვილმა დავითაშვილი მეკარესთან თითქმის პირისპირ დატოვა. „აბრეზამ" ქვაჩახიას მცირედით დაასწრო და, ეტყობა, წესი დაარღვია, რადგან ქვაჩახია დაეცა, თუმცა მსაჯმა შეხვედრა არ გააჩერა. სულიკოს დარტყმული კი ძელმა მოიგერია. „ბათუმის" მეკარემ მსაჯს საყვედური უთხრა, მისგან კი ჯერ ყვითელი, შემდეგ კი შეგინებისთვის წითელი ბარათი მიიღო. ისე, თამაშის შემდეგ ქვაჩახიას თვალზე ნამდვილად ეტყობოდა ნაიარევი. საბოლოო შედეგი კი 43-ე წუთზე „გაფორმდა". კოშკაძემ ნერგაძეს დაუგორა, მისი დარტყმული კი ახალგაზრდა ბალაძისთვის აუღებელი აღმოჩნდა.

შესვენების შემდეგ, ფაქტობრივად, ცალკარა გაჩაღდა, კაცნაკლული სტუმრები იშვიათად გადადიოდნენ მასპინძელთა ნახევარზე, „ტორპედოს" კი რამდენიმე რეალური მომენტი ჰქონდა. აღსანიშნავია დავითაშვილის (ორჯერ), ჩხეტიანის და ბოლქვაძის დარტყმები, თუმცა მეკარე ბალაძე უშეცდომოდ ირჯებოდა. ბოლო წუთზე კი მსაჯმა მასპინძელ ჩხეტიანს უჩვენა წითელი ბარათი გინებისთვის, ამჯერად ბილწსიტყვაობის ობიექტი ერთ-ერთი ვაიგულშემატკივარი იყო, რომელთანაც ახალგაზრდა ფეხბურთელს შელაპარაკება მოუვიდა.

*ვალერიან ჩხარტიშვილი:* ახალგაზრდული გუნდი გვყავს, თანაც ორი ფეხბურთელი ტრავმის გამო გვაკლდა, თუმცა „ტორპედომ" ღირსეულად მოიგო. რაც შეეხება ქვაჩახიას, ის დამნაშავეა, თუმცა იმ ეპიზოდში ჯარიმა უნდა დანიშნულიყო.

*ოთარ გაბელია:* გასვლაზე უკეთესად ვთამაშობთ, ვიდრე შინ. მაყურებელიც უფრო აგრესიულია, არადა, თამაშებს ვიგებთ, ქულებს ვაგროვებთ და გასაკვირია, რა უნდათ, მე ფეოლა არა ვარ, რომ ორ თვეში სასწაულები მოვახდინო. ჩემი აზრით, 29-30 ქულა იძლევა უმაღლესში დარჩენის სრულ გარანტიას, მანამდე კი ბრძოლა მოგვიწევს.

**საუკეთესო**



***გიორგი ნერგაძე***

*როცა სხვათაგან გამოსარჩევი ახალგაზრდა ფეხბურთელია, ეს ორმაგად საინტერესოა. საინტერესოცაა და გასახარიც, რადგან ნიჭიერი მოთამაშე მარტო მის კლუბს კი არა, ქვეყანას ეზრდება. ასეთ მოთამაშედ ჩანს გიორგი ნერგაძე, რომელიც ბევრსაც მოძრაობდა, აზრიანადაც აქტიურობდა და გოლიც ლამაზი გაიტანა.*

## მრთი მარცვალი მშიმრი მმრცხლისთვის

ოზურგეთი. 26 მარტი. 15 საათი. ცენტრალური. 500 (ტევადობა 8 000)

### მერცხალი 0:0 კოლხეთი

| | |
|---|---|
| მერცხალი: გია გოგუა, კობაური (ძანილიძე 78), კვირკვია, მჟავანაძე, ქალიაშვილი, მონწყობილი, გ. ნიჟნიკაძე, სიამაშვილი, ბართია, თორია (უ. ჩხაიძე 63), მიქაბერიძე (ოქიტაშვილი 76). სათადარიგონი: როხაძე; დ. მარგალიტაძე. მწვრთნელი: აკაკი ათუაშვილი | კოლხეთი: ბათიაშვილი, ჯ. შალამბერიძე, ქითანავა, აკობია, დ. ნარსია, თაყაძე, ლალანიძე, კალანდაძე (კუნჭულია 81), ე. მარგალიტაძე, ზ. ქუთათელაძე, გაბედავა (კრასოვსკი 7). სათადარიგონი: ჩემია; ხურცილავა, ყურაშვილი. მწვრთნელი: დავით მახარაძე |

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); კ. გაბრიაძე, ნ. რუხიშვილი; პ. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

**გოჩა ჯანაშია** ოზურგეთიდან

**სატურნირო** ცხრილზე თვალის ერთი გადავლებითაც ცხადია — სასწაული უნდა მოხდეს, „მერცხალი" გავარდნას გადაურჩეს.

ინერციითა და შიშველი ენთუზიაზმითღა აგრძელებენ გურულები ჩემპიონატს და ვინძლო, შუა გზაში მისი მიტოვების საშიშროებაც შეექმნათ. თუმც გუნდის უფროსი და მთავარი ჭირისუფალი ბაზვა გიორგაძე ამას მაინც გამორიცხავს.

„მერცხალი" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. აქედან ორი — ლადო გაბედავა და ჯონი კალანდაძე სწორედ „კოლხეთში" ირიცხებიან. პირველს ექსთანაგუნდელების წინააღმდეგ თამაში არ დასცალდა — დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. კალანდაძეს კი მატჩის დებიუტში საგოლე შანსი ჰქონდა, მაგრამ უხეიროდ მოიქნია ცაცია.

სტუმრებმა საწყის 25 წუთში კიდევ ორჯერ შექმნეს ხიფათი. ჯერ შალამბერიძის შორეული ჯარიმისას ბურთი გოგუას ზედ ცხვირწინ აუხტა და კინაღამ კარშიც აღმოჩნდა. მეორედ თაყაძის ჩაწოდებულს კრასოვსკიმ თავური მოაყოლა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ააცილა.

ფოთელთაგან ხიფათი უფრო მარჯვენა ფლანგიდან მოდიოდა, სადაც თაყაძესთან ერთად ედიშერ მარგალიტაძე ყოჩაღობდა.

მასპინძლებს კი სტუმართა კართან ხეირიანი არაფერი შეუქმნიათ. მათ კარის მიმართულებით პირველად მხოლოდ 38-ე წუთზე დაარტყეს და პირველი კუთხურიც მაშინ ჩააწოდეს.

შესვენების შემდეგ „კოლხეთი" უფრო გააქტიურდა, მაგრამ დაცვაში ჩამჯდარ მეტოქეს და უსწორმასწორო მინდვრის საფარს ვერაფერი მოუხერხა. ფოთელებმა ორჯერ გატანის ჩინებული შანსიც გაანიავეს.

**საუკეთესო**



***ედიშერ მარგალიტაძე***

*ძნელი იყო ამ მატჩიდან ვინმეს გამორჩევა, თუმც კოლხთა ფეხმარდი ყმაწვილი ედიშერ მარგალიტაძე სხვებზე მონდომებული ჩანდა. მან მარჯვენა ფლანგზე გვარიანად იბრძოლა, შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა და მცველთა დახმარებასაც ასწრებდა. მარგალიტაძეს კოჭებში ეტყობა, რომ ფეხბურთის თამაში შეუძლია.*

## უეფას თასი

UEFA CUP 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები UEFA CUP

**ბრიუგე (ბელგია) 0:1 *ბორდო (საფრანგეთი)* (1:3)**

0:1 შამახი (84)

ბრიუგე: ვერლინდენი, დე კოკი, სიმონსი, როზენალი, ვან დერ ჰიდენი, სმოლდერსი, კლემანი, ბლონდელი (გვოზდენოვიჩი 67), ვერშეინი, ლანგე (სიმოესი 67), შატერნსი

მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი

ბორდო: რამე, ჟემალი, პლანუსი, კანეირა, ჟურიეტი, ფრანსია, მავუბა, სელადესი, ედუარდო კოშტა, რიერა (დარშევილი 88), შამახი

მწვრთნელი: მიშელ პავონი

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

23 700 მაყურებელი

***პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)* 3:0 ოსერი (საფრანგეთი) (1:1)**

1:0, 2:0 კეჟმანი (4, 27), 3:0 ვან ბომელი (73)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, კოლინი, ჰოფლანდი, ბუმა, ი. ლი, პარკი, ვან ბომელი, ვან დერ შააფი, ჯ. დე იონგი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (ბაკალი 90), კეჟმანი (ვონლანტენი 89)

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

ოსერი: კული, დიუმბე, გრიხტინგი, ბუმსონგი, ჟაურე (მინო 76), სირიექსი, ვიოლო, ლაშუერი, ლ. მატისი, აკალე (ა. გონსალესი 79), კაპო

მწვრთნელი: გი რუ

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

30 000 მაყურებელი

**ბარსელონა (ესპანეთი) 0:0 *სელტიკი (შოტლანდია)* (0:1)**

ბარსელონა: ვ. ვალდესი, რაიციგერი (ოვერმარსი 53), პუიოლი (მარკესი 34), ოლეგერი, გაბრი, ლუის გარსია, ხავი, კოკუ, ხერარდი, ლუის ენრიკე (სერხიო გარსია 64), რონალდინიო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

სელტიკი: მარშალი, მაკნამარა (ლ. მილერი 52), აგატი, კენედი, ვარგა, ა. ტომპსონი, პირსონი, ლენონი, ს. პეტროვი, ლარსონი, სატონი (სილა 83)

მწვრთნელი: მარტინ ონილი

მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)

80 000 მაყურებელი

***ინტერი (იტალია)* 4:3 ბენფიკა (პორტუგალია) (0:0)**

0:1 ნუნუ გომეში (36), 1:1 მარტინსი (45), 2:1 რეკობა (60), 3:1 ვიერი (64), 3:2 ნუნუ გომეში (67), 4:2 მარტინსი (70), 4:3 ტიაგო (77)

ინტერი: ტოლდო, ი. კორდობა, ადანი, გამარა, ხ. ძანეტი, ლამუში, ოკანი, კარაგუნისი (ბრეშე 72), კილი გონსალესი, ვიერი, ო. მარტინსი (ალმეიდა 86)

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

ბენფიკა: მორეირა, არმანდუ, ლუის ანდერსონი, ტეიშეირა (ჯოვანი 85), ლუიშ მონტეირუ, ტიაგო, რიკარდო, ჟოაუ პერეირა, ზაჰოვიჩი (შოკოტა 66), სიმაო, ნუნუ გომეში

მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

27 638 მაყურებელი

**რომა (იტალია) 2:1 *ვილიარეალი (ესპანეთი)* (0:2)**

1:0 ემერსონი (10), 2:0 კასანო (50), 2:1 ანდერსონი (66)

რომა: პელიცოლი, ძებინა, ვ. სამუელი, კივუ, კანდელა, მანსინი, მერსონი, დაკური, ფ. ლიმა (დელვეკიო 75), ტოტი, კასანო (მონტელა 68)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, კიკე ალვარესი, კოლოჩინი, ბელეტი (ხავი ვენტა 46), ბატალია, მარტი, როხერი, რიკელმე, ხოსე მარი, ს. ანდერსონი (რაბასკო 80)

მწვრთნელი: ფრანსისკო გარსია

გაძევება: ძებინა (90)

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

29 088 მაყურებელი

***მარსელი (საფრანგეთი)* 2:1 ლივერპული (ინგლისი) (1:1)**

0:1 ჰესკი (15), 1:1 დროგბა (383), 2:1 მეიტე (58)

მარსელი: ბარტეზი, ბეიე, ჰემდანი, მეიტე, დუშ სანტუში, დ. ფერეირა, ფლამინი, ს. ნდიაიე, ბატლე (მიდო 71), მარლე (მერიემი 80), დროგბა

მწვრთნელი: ჟოზე ანიგო

ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიიპია, ბისკანი, რიისე, ჯერარდი, ჰამანი, მერფი (შეირუ 69), კიუელი (სინამა-პონგოლე 81), ოუენი (ბაროში 62), ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

გაძევება: ბისკანი (36)

მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

55 000 მაყურებელი

**მალიორკა (ესპანეთი) 0:3 *ნიუკასლი (ინგლისი)* (1:4)**

0:1 შირერი (46), 0:2 ბელამი (78), 0:3 შირერი (89)

მალიორკა: მიკი, პოლი, ლუსენჰოფი, ივან რამისი (ეტოო 52), ნაგორე, მარკოსი (კამპანო 39), ფინიდი, ტონი გონსალესი, ნენე, ხესუს პერერა, ბრუგინკი

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

ნიუკასლი: გივენი, ობრაიენი (ს. ტეილორი 81), ვუდგეიტი, ბრამბლი, ბერნარი, ამბროზი, ჯენასი, სპიდი (ბელამი 77), რობერი (უგო ვიანა 66), შირერი, ამეობი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

12 000 მაყურებელი

***ვალენსია (ესპანეთი)* 2:0დ.დ.(1:0) გენჩლერი (თურქეთი) (0:1)**

1:0 მისტა (64), 2:0 ვისენტე (94)

ვალენსია: კანისარესი, რ. აიალა, გარიდო (ანგულო 91), პელეგრინო, კარბონი, რუფეტე, კანობიო (ვისენტე 61), ბარახა, სისოკო, აიმარი, ოლივეირა (მისტა 55)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გენჩლერი: ბოტონჯიჩი, დაემსი, ელ საკა, ერკანი, ოზკანი, იულა, ბოზკურტი (მბაიო 75), სკოკო, თანდოგანი, ბარისი, სერქან ბალჩი (ვეისელი 96)

მწვრთნელი: ერსუნ იანალი

გაძევება: ოზკანი (87)

მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

40 000 მაყურებელი

## მეოთხედფინალი

ბორდო — ვალენსია

მარსელი — ინტერი

სელტიკი — ვილიარეალი

პსვ ეინდჰოვენი — ნიუკასლი

პირველი მატჩები — 8 აპრილი, საპასუხოები — 14 აპრილი

# ულიეს იბანიესი შემოელანძღა

# რაიკარდს იღბალი დაემალა



„ბარსელონა“ — „სელტიკი“. გლაზგოელთა ყმაწვილმა მეკარემ არც ხერარდს გაატანინა

**11 იანვრის** შემდეგ გამართული ყველა მატჩი, „სელტიკთან“ ორგზის შეხვედრის გარდა, „ბარსელონამ“ მოიგო. კატალონიელებმა მხოლოდ გლაზგოელთა კარში ვერ გაიტანეს და მეოთხედფინალისკენ გზა „სელტიკს“ დაუთმეს.

„ძალიან დასანანია, რომ განზე დავრჩით, მაგრამ წარუმატებლობა გუნდს ვერ შეარყევს. მთავარია, პრიმერადივიზიონში ისევ კარგად ვითამაშოთ. ორმატჩიან დუელში დავმარცხდით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „სელტიკს“ ათჯერ ზედიზედ რომ შევხვდეთ, რვაჯერ მოვუგებთ. მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას ვფლობდით, თუმც სავიოლა არ გვყავდა და შეტევების ხეირიანად დასრულება გაგვიჭირდა. ჩვენს თამაშს კარლეს პუიოლის ტრავმამაც დაღი დაასვა. ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა არყოფნის გამო თავის მართლებას არ ვაპირებ. მწვრთნელმა იმ მოთამაშეებით უნდა შეძლოს სასურველი შედეგის მიღწევა, რომლებიც ჰყავს. ერთიცაა, რთულია მეტოქის დაცვის გარღვევა, როცა თერთმეტი ფეხბურთელი საჯარიმოშია გამაგრებული. ასეთ დროს ცოტა იღბალმაც თუ არ მოგხედა, მოგება ძნელია. ამჯერად „სელტიკს“ გაუმართლა, ჩემს ბიჭებს კი ვერ დავძრახავ. ბოლომდე და ღირსეულად იბრძოლეს“ — თქვა ნამატჩევს „ბარსას“ გულდაწყვეტილმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკარდმა.

მარტინ ონილი კი ოდნავ გაკვირვებული იყო: „მეგონა, რომ „ბარსელონა“ გოლს აუცილებლად გაგვიტანდა. კატალონიელები ბრწყინვალე ფორმაში არიან და გამიკვირდა შეხვედრის უგოლოდ დასრულება. ჩვენმა ყმაწვილმა მეკარემ ჩინებულად ითამაშა. უცნაურია, მაგრამ ორ შემტევ გუნდს შორის გამარჯვებულის ბედი ერთმა გოლმა გადაწყვიტა“.

გლაზგოელები თავიდანვე დაცვაში ჩასხდნენ და მასპინძლებს ბურთის თავისუფლად გაგორების საშუალება არ მისცეს. ამის გამო მომენტები სტუმართა კართან იშვიათად იქმნებოდა. სავიოლას ნაცვლად მოთამაშე ლუის ენრიკე არგენტინელივით კარგად ვერ გაისარჯა და დამხვდურთა შეტევებს სიმწვავე მოაკლდა.

შესვენების შემდეგ რაიკარდმა რაიციგერი და ლუის ენრიკე ოვერმარსით და სერხიოთი შეცვალა. „ბარსამ“ ტემპს უმატა, მაგრამ სტუმართა კარგად შეკრული დაცვის ხაზის გარღვევა ვერ შეძლო.

მილანში ალბერტო ძაკერონის პირველ ტაიმში დასცხა, როცა ნუნუ გომეშმა ტიაგოს პასით გაიტანა. „ინტერმა“ ობაფემი მარტინსის გოლით შესვენებამდე წუთით ადრე გაიხარა. ნიგერიელს მომენტი კარაგუნისმა გაუჩარხა, რომელმაც მარჯვენა ფლანგზე გაილაღა.

ძაკერონიმ მეორე ტაიმში ოკანი ალვარო რეკობათი შეცვალა და ურუგვაელმა შესვლისთანავე „შავლურჯები“ დააწინაურა. მან ჩვეულად, საჯარიმოს ხაზიდან ძლიერი და ზუსტი დარტყმით შეაგდო.

პირველი და მეორე გოლის ავტორებმა მალე მესამეც შექმნეს. მარტინსმა მარჯვნივ რეკობას მიაწოდა, რომელმაც კარის წინ ვიერი მონახა და „ბობომ“ მორეირა მესამედ დაამწუხრა.

ლისაბონელები დანებებას არ აპირებდნენ და ნუნუ გომეშმა ანგარიში სხვაობა ახლოდან დარტყმით შეამცირა, თუმც „ინტერის“ ნიგერიელმა იქვე მეოთხე გაიტანა.

შეხვედრის დასრულებამდე 13 წუთით ადრე კი ტიაგომ შოკოტასთან კედელი გაითამაშა და „ბენფიკას“ მატჩის გადარჩენის შანსი შეუნარჩუნა, მაგრამ „შავ-ლურჯებმა“ დარჩენილ დროში კარი მშრალად შეინახეს.

რომში იქაურებმა ბურთი მეტოქის საჯარიმოში დააბინავეს. ფაბიო კაპელოს გუნდმა „ვილიარეალს“ მრავალფეროვანი შეტევებით თავბრუ დაახვია. კარშიც ბლომად ურტყეს, ძელებიც ანგრიეს, მაგრამ მხოლოდ ორი გაიტანეს.

პირველ ტაიმში ემერსონმა შორიდან ზუსტი დარტყმით შეაგდო, ანტონიო კასანომ კი ტოტის პასით შესვენების შემდეგ იხეირა.

ფაქტობრივად, პირველი რეალური შეტევა სტუმრებმა შედეგიანად დაასრულეს. ხოსე მარიმ ანდერსონს ჩააწოდა და ბრაზილიელმა „ვილიარეალისთვის“ უძვირფასესი გოლი გაიტანა. ნახევარი საათი ჰქონდათ მასპინძლებს შეხვედრის სათავისოდ მოსაკვარახჭინებლად, მაგრამ „ყვითლების“ წინააღმდეგობა მესამედ ველარ გატეხეს.

მარსელის „ველოდრომზე“ ჟერარ ულიე გაამწარეს. 38-ე წუთზე სტივ მარლეს წაქცევისთვის არტურო იბანიესმა სტუმართა კარში პენალტი დანიშნა, რომელიც დიდიე დროგბამ გამოიყენა. მარლეს წამქცევი იგორ ბისკანი კი მსაჯმა გააძევა და „ლივერპული“ კაცნაკლული დარჩა.

ულიეს გუნდი შეხვედრას ემილ ჰესკის გოლით იგებდა და გაშვებული გოლის შემდეგ „მარსელმა“ კაცმეტობა რომ იგრძნო, მეტოქეს გულიანად შეუტია.

მეორე ტაიმის დასაწყისში აბდულაიე მეიტემ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავით კარში შეაგდო და სასურველი შედეგი მარსელელებმა მატჩის ბოლომდე მიათრიეს.

ჟერარ ულიემ არტურო იბანიესი კულტურულად გამოლანძღა, ჩვენი მცველი მარლეს საჯარიმოს გარეთ ეჯაჯგურებოდა და ამ უსამართლო პენალტით ესპანელმა თამაში მოგვიკლაო.

„გენჩლერბირლინგი“ ვალენსიელებს გაუძალიანდა და თამაში დამატებით დროში გადაიყვანა. რაფაელ ბენიტესის ექსპერიმენტები ჯერჯერობით ამართლებს. მასპინძლებმა ანგარიში მეორე ტაიმის შუაწელში გახსნეს — ოლივეირას ნაცვლად შესულმა მისტამ უმალ გაიტანა და „მესტალია“ დამშვიდდა. 89-ე წუთზე თურქებს მოთამაშე გაუძევეს და კაცნაკლული ანკარელები გატყდნენ. ასევე შეცვლაზე მოთამაშე ვისენტემ ანგულოს პასით იხეირა.

ეინდჰოვენში „ოსერის“ მარცხი ლოგიკურია, რადგან ბონავენტურე კალუსა და ჯიბრილ სისეს გარეშე მოთამაშე სტუმრებს შეტევაში გაუჭირდათ, მასპინძელი მატია კეჟმანი კი იშტაზე მოსულიყო და დუბლი შეასრულა, ხოლო ვან ბომელმა კონტრშეტევაზე გამოიჭირა ოსერელები და საბოლოო ანგარიში გამოიყვანა.

**მაშა ხუციშვილი**



ობაფემი მარტინსმა სიხარულისგან თავი დაკარგა

# იტალია

პაატა კედია



ფილიპო ინძაგი

## იყავი ფრთხილი, მოდის პირო

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| **ხვალ** | | |
| ბრეშა | — | ანკონა |
| რომა | — | ბოლონია |
| მილანი | — | კიევო |
| პარმა | — | ემპოლი |
| რეჯინა | — | ინტერი |
| პერუჯა | — | ლაციო |
| სამპდორია | — | ლეჩე |
| იუვენტუსი | — | მოდენა |
| სიენა | — | უდინეზე |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 26 | 21 | 4 | 1 | 53:16 | 67 |
| რომა | 25 | 17 | 6 | 2 | 55:11 | 57 |
| იუვენტუსი | 26 | 17 | 5 | 4 | 51:30 | 56 |
| ლაციო | 25 | 12 | 5 | 8 | 36:27 | 41 |
| პარმა | 26 | 11 | 8 | 7 | 38:37 | 41 |
| ინტერი | 26 | 11 | 7 | 8 | 42:27 | 40 |
| უდინეზე | 26 | 10 | 9 | 7 | 31:28 | 39 |
| სამპდორია | 26 | 9 | 10 | 7 | 33:32 | 37 |
| კიევო | 26 | 8 | 8 | 10 | 26:28 | 32 |
| ბოლონია | 26 | 8 | 7 | 11 | 32:37 | 31 |
| ბრეშა | 26 | 6 | 10 | 10 | 37:44 | 28 |
| სიენა | 26 | 6 | 9 | 11 | 32:39 | 27 |
| ლეჩე | 26 | 7 | 6 | 13 | 29:41 | 27 |
| რეჯინა | 26 | 5 | 12 | 9 | 22:35 | 27 |
| მოდენა | 26 | 5 | 10 | 11 | 22:34 | 25 |
| ემპოლი | 26 | 5 | 8 | 13 | 19:40 | 23 |
| პერუჯა | 26 | 3 | 13 | 10 | 33:45 | 22 |
| ანკონა | 26 | 0 | 7 | 19 | 11:51 | 7 |

**მილანში,** „კიევომ" სკუდეტოსკენ მთელი ძალით გაქანებული „შავ-წითელი" მანქანა წესით ვერ უნდა გააჩეროს. ჩახედეთ ცხრილს: მილანელები ათი ქულით ლიდერობენ, ოღონდ ერთი კვირის წინ გადადებული რომაული დერბის განმეორებასაც ელიან, რათა უპირატესობა უფრო დააზუსტონ. ერთ-ერთი, რაც კაცმა შეიძლება იფიქროს, ის არის, რომ შუა კვირაში ჩატარებულმა ჩემპიონთა ლიგის მატჩმა კარლო ანჩელოტის შეგირდებს ზედმეტი ძალა ხომ არ წაართვა. სხვა კი მასპინძლებს არაფერი უნდა უჭირდეთ.

ჩემპიონთა ლიგის ხსენებულ შეხვედრაში, „დეპორტივო ლა კორუნიას" წინააღმდეგ, „მილანის" დაცვაში ტრავმირებული ალესანდრო ნესტას ნაცვლად ბილი კოსტაკურტა თამაშობდა, „კიევოსთან" კი იგი შესაძლოა, დანიელმა მარტინ ლაურსენმა შეცვალოს. შესაძლოა, კარლო ანჩელოტიმ კაკა და ანდრეი შევჩენკოც დაასვენოს. რა ენაღვლება, ფილიპო ინძაგი, მანუელ რუი კოშტა და იონ დალ ტომასონი „კიევოსთვის" ნაკლები ბიჭები არიან? თან „კიევო" ამ სეზონში შარშანდელსა და შარშანწინდელსავით ძლიერი აღარ არის, მაგრამ ხელწამოსაკრავიც არ გახლავთ, განსაკუთრებით სტუმრად. სტატისტიკა მეტყველებს, რომ 32 ქულიდან 18 „მფრინავ ვირებს" სწორედ რომ სტუმრად აქვთ მოპოვებული. „კიევოს" არ ეყოლებიან დისკვალიფიცირებული მაური და დაშავებულები: სერჯო პელისიერი, ფედერიკო კოსატო და მარიო ალბერტო სანტანა. ერთი სიტყვით, ახალგაზრდა ფორვარდი, ჯუზეპე სკული ლუსიანოს დახმარების იმედით შეეცდება ნაქები „შავ-წითელი" დაცვის გარღვევას.

„რომა" „ბოლონიას" მასპინძლობს და თუ მისმა ქომაგებმა ბავშვის გაჭყლეტვა ან რაიმე ასეთი კიდევ არ გამოიგონეს, ჩემპიონატის დასასრულისკენ მორიგ ნაბიჯს გადადგმას, შედეგი კი მხოლოდ ერთი აწყობს, მოგება.

ძალიან სჭირდება ქულები „ბოლონიასაც". მართალია, ამ გუნდის მწვრთნელი, კარლო მაცონე სულით რომაელია და ოდესღაც „რომასაც" ედგა სათავეში, მაგრამ რა დროს რომაელობაა, როდესაც ცხრილში დაბლა ჩახედვისა მაინც გეშინია, სერია B სჩანსო.

„ბოლონიას" დისკვალიფიცირებული ჰყავს მცველი კრისტიან ძაკარდო და ნახევარმცველი ფაბიო პეკია, ხოლო ფაუსტო როსინი და სამუელე დალა ბონა დაშავებულნი არიან.

„რომასაც" ჰყავს დისკვალიფიცირებული — ჯონათან ძებინა, რომელიც წინა კვირას „ლაციოსთან" თამაშს კი სტოვებდა, მაგრამ თამაში არ დასრულდა და შესაბამისად, ახლა მოუწევს მაყურებლის როლში ყოფნა. კრისტიან პანუჩი, მოგეხსენებათ, ორი კვირის წინ მწვრთნელს, ფაბიო კაპელოს ეურჩა, თადარიგში იყო და მოედანზე არ შევიდა, რის გამოც კლუბში ურთიერთობა დაეძაბა, მაგრამ ამბობენ, რომ ყველაფერი მოგვარდა და პანუჩის „ბოლონიას" წინააღმდეგ ძებინას ნაცვლად ვიხილავთ.

აი, „მოდენას" ახალ მწვრთნელს, ჯანფრანკო ბელოტის კი უარესს დებიუტს ვინ მოუგონებდა თუ არა ბედი და სერია A-ს კალენდარი — მას და მის შეგირდებს „დელე ალპიზე" „იუვენტუსი" ელოდებათ.

„ბებერი ქალბატონი" ისევ ბებერია, მაგრამ რამდენიმე დაშავებული ფეხბურთელი დაუბრუნდა და წესით ისეთი უძლური, როგორიც ბოლო კვირებში ბრძანდებოდა, აღარ უნდა იყოს. არადა, რა დღეში იყო ჩავარდნილი გახსოვთ? ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა, იტალიის თასის ფინალში „ლაციოსთან" 0:2 წააგო და საპასუხო შეხვედრას ცუდი პოზიციიდან ელის, ხოლო სერია A-ში საქმე იქამდე მიუვიდა, რომ მარჩელო ლიპის „უდინეზესთან" 0:0 გაუხარდა. მაგრამ ახლა, როგორც გითხარით, „შავ-თეთრების" საუკეთესო მოთამაშეთა ნაწილი გამოკეთდა, კერძოდ კი, დავიდ ტრეზეგე და ენცო მარესკა უბრუნდებიან მოედანს. თუმცა ძველი და ახალი დაშავებულების სია მაინც საშინლად შთამბეჭდავია: მარკ იულიანო, ჯანლუკა ძამბროტა, ალესანდრო დელ პიერო, ფაბრიციო მიკოლი, პაოლო მონტერო და, ის კი არა, თითქოს ნიკოლა ლეგროტალიეც კი...

# ინგლისი

ირაკლი გამყრელიძე

## შურისძიება და არსენალი

| XXX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | — | ლიდსი |
| ბლექბერნი | — | პორტსმუთი |
| ჩარლტონი | — | ასტონ ვილა |
| ჩელსი | — | ვულვზი |
| ევერტონი | — | მიდლსბრო |
| სიტი | — | ფულემი |
| საუთჰემპტონი | — | ტოტენჰემი |
| **ხვალ** | | |
| ბოლტონი | — | ნიუკასლი |
| ლესტერი | — | ლივერპული |
| არსენალი | — | მანჩესტერი |

| სადღეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 29 | 22 | 7 | 0 | 57:19 | 73 |
| ჩელსი | 29 | 20 | 4 | 5 | 52:21 | 64 |
| მანჩესტერი | 29 | 19 | 4 | 6 | 55:29 | 61 |
| ლივერპული | 29 | 12 | 9 | 8 | 42:31 | 45 |
| ნიუკასლი | 29 | 11 | 12 | 6 | 41:30 | 45 |
| ჩარლტონი | 29 | 12 | 7 | 10 | 40:37 | 43 |
| ბირმინგემი | 29 | 11 | 9 | 9 | 33:35 | 42 |
| ასტონ ვილა | 29 | 11 | 7 | 11 | 36:34 | 40 |
| ფულემი | 29 | 11 | 6 | 12 | 41:40 | 39 |
| მიდლსბრო | 29 | 10 | 7 | 12 | 34:38 | 37 |
| ტოტენჰემი | 29 | 11 | 4 | 14 | 40:46 | 37 |
| საუთჰემპტონი | 29 | 9 | 9 | 11 | 29:28 | 36 |
| ბოლტონი | 29 | 8 | 10 | 11 | 33:46 | 34 |
| ევერტონი | 29 | 8 | 9 | 12 | 35:40 | 33 |
| ბლექბერნი | 29 | 8 | 7 | 14 | 41:46 | 31 |
| სიტი | 29 | 7 | 9 | 13 | 41:42 | 30 |
| ლესტერი | 29 | 5 | 12 | 12 | 39:52 | 27 |
| პორტსმუთი | 29 | 7 | 6 | 16 | 30:44 | 27 |
| ლიდსი | 29 | 6 | 7 | 16 | 28:56 | 25 |
| ვულვზი | 29 | 5 | 9 | 15 | 24:57 | 24 |

**ხვალ** საღამოს „ჰაიბერიზე" ძალიან დიდი მატჩია — „არსენალი" „მანჩესტერს" მასპინძლობს. „მეთოფეებმა" ბოლო პრემიერლიგური მატჩი შარშან მარტში წააგეს და დღეს შეუძლიათ რეკორდი დაამყარონ — ზედიზედ 30 წაუგებელი თამაში ინგლისის ელიტაში ჯერ არავის გაუხერხებია.

ასე ჩანს, რომ „არსენალმა" ჩემპიონობა აართვა „მანჩესტერს" და მას 12 ქულით უსწრებს. ამ გუნდების პირველი საპრემიერლიგო თამაში ამ სეზონში ჩხუბით, გაძევებით, რუუდ ვან ნისტელროის აცილებული პენალტით, მისი გალახვით და უგოლო ქულათა გაყოფით იყო დასამახსოვრებელი. გუნდები კვლავ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს ასოციაციის თასის ნახევარფინალში და თუკი სერ ალექს ფერგიუსონს ძალუძს ჯავრის ყრა, სწორედ ეს ორი თამაში უნდა გამოიყენოს. ამასთანავე, პოლ სქოულზმა გუშინ თქვა, რომ „არსენალი" უკვე ჩემპიონია.

სახვალიო თამაშისთვის „მეთოფეებს" არ ეყოლებათ ჩემპიონთა ლიგაში თავგამოჩენილი და მერე ფეხნატკენი ეშლი კოული — მის ადგილს ყრმა გაელ კლიში დაიჭერს. „მანჩესტერს" უბრუნდება ოთხი მატჩით დასჯილი გარი ნევილი. მოშუშებულა ერიკ ჯემბა-ჯემბა, ლუი საჰა კი, რომელმაც ბოლო 6 თამაშში 4 გოლი გაიტანა, აქილევსის მყესს იტკივებს, თუმც კი იმედოვნებს, რომ მაინც ითამაშებს.

„არსენალსა" და „მანჩესტერს" შორის მდგომი „ჩელსი" ბოლო გუნდს, „ვულვზს" მასპინძლობს. „ჩელსიმ" ბოლო 5 ტურში ერთადერთი გოლი გაუშვა. პირველ წრეში კი 5:0 მოუგო „ვულვზს". მაჩანჩალები ყველა თამაშზე სათასო სულისკვეთებით გადიან, თუმცა, ბოლო სამ ტურში არ გაუტანიათ.

„ლესტერი" „ლივერპულს" მასპინძლობს. ამ უკანასკნელს მძიმე დღეები უდგას. ხალხი ჟერარ ულიეს გადადგომას მოითხოვს უეფას თასიდან გუნდის გავარდნის შემდეგ, კვლავ დაშავდა მაიკლ ოუენი. თუმცა „ლესტერს" ნოემბრის შემდეგ არ მოუგია თავის სტადიონზე.

შინაურ კედლებში ძლიერია „ნიუკასლი", მაგრამ გასვლაზე მხოლოდ ორჯერ მოუგია. „ბოლტონი" „კაჭკაჭთა" ძლევით აპირებს 5-წაგებიანი სერიის დასრულებას.

პირველ წრეში „საუთჰემპტონთან" შინაურმა მარცხმა „ტოტენჰემის" მენეჯერობა დააკარგვინა გლენ ჰოდლს. ახლა „საუთჰემპტონსაც" ახალი მწვრთნელი ჰყავს, პოლ სტაროკი, რომელმაც ერთი მოიგო და ერთი წააგო თავის ახლადდაწყებულ პრემიერლიგურ კარიერაში. „ტოტენჰემმა" თებერვალში 4 მატჩში 15 გოლი გაიტანა — მარტში მხოლოდ ერთი და ისიც ნიუკასლელი ენდი ობრაიენის წყალობით.

„ევერტონი" „ბოროს" დაუხვდება. ბოლო ოთხ მატჩში უეინ რუნის ოთხმა გოლმა გუნდი ოთხჯერ გადაარჩინა წაგებას, „ბორო" კი გოლებზეა დაგეშილი.

„ლიდსმა" წინა ტურში „სიტის" ძლევით წაგებათა სერია შეწყვიტა, ფინანსური პატრონიც გამოუჩნდა და „ბირმინგემთან" სტუმრობისას ბრძოლას აპირებს. თუმცა, გასვლაზე ნოემბრის შემდეგ არ მოუგია. „ბირმინგემი" ორი მარცხის შემდეგ მიკროტრავმიან მიკაელ ფორსელს ნაღვლობს, რობი სევიჯი კი დაღლილი ჰყავს. ბირმინგემისავე „ვილა" „ჩარლტონს" სტუმრობს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. ვილელებმა, ხუან პაბლო ანხელმა და ულისეს დე ლა კრუსმა საგანგებოდ ამ მატჩისთვის სანაკრებო გამოძახებებზე თქვეს უარი.



პირველი წრის „მანჩესტერი" — „არსენალი" რუუდ ვან ნისტელროის ცემით დასრულდა

| XXVI ტური | | |
| --- | --- | --- |
| **დღეს** | | |
| ჰანზა | — | ვოლფსბურგი |
| ბაიერნი | — | გლადბახი |
| ლევერკუზენი | — | ჰერტა |
| ფრაიბურგი | — | კიოლნი |
| აინტრახტი | — | მიუნხენი |
| ჰანოვერი | — | დორტმუნდი |
| ბოხუმი | — | შალკე |
| **ხვალ** | | |
| შტუტგარტი | — | ვერდერი |
| ჰამბურგი | — | ლაუტერნი |

| სადღეისო ვითარება | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ვერდერი | 25 | 19 | 4 | 2 | 61:23 | 61 |
| ბაიერნი | 25 | 14 | 8 | 3 | 54:27 | 50 |
| შტუტგარტი | 25 | 13 | 8 | 4 | 33:12 | 47 |
| ლევერკუზენი | 25 | 12 | 6 | 7 | 46:33 | 42 |
| ბოხუმი | 25 | 11 | 9 | 5 | 40:27 | 42 |
| დორტმუნდი | 25 | 11 | 5 | 9 | 40:34 | 38 |
| შალკე | 25 | 9 | 10 | 6 | 31:28 | 37 |
| ჰამბურგი | 25 | 9 | 6 | 10 | 33:41 | 33 |
| ჰანზა | 25 | 8 | 7 | 10 | 38:37 | 31 |
| ვოლფსბურგი | 25 | 10 | 1 | 14 | 44:48 | 31 |
| ფრაიბურგი | 25 | 8 | 6 | 11 | 34:52 | 30 |
| ლაუტერნი | 25 | 9 | 4 | 12 | 27:37 | 28 |
| გლადბახი | 25 | 7 | 6 | 12 | 27:34 | 27 |
| მიუნხენი | 25 | 7 | 6 | 12 | 25:38 | 27 |
| აინტრახტი | 25 | 7 | 5 | 13 | 28:36 | 26 |
| ჰანოვერი | 25 | 6 | 7 | 12 | 40:54 | 25 |
| ჰერტა | 25 | 5 | 9 | 11 | 25:46 | 24 |
| კიოლნი | 25 | 4 | 5 | 16 | 21:40 | 17 |

„კაიზერსლაუტერნს“ დაკლებული აქვს 3 ქულა

# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

## ჩახედე შტუტგარტს თვალებში

## მეისნერი მუსიკის ჩახშობას აპირებს



„აინტრახტის“ მწვრთნელი ვილი რაიმანი ტრიბუნაზე იჯდება

„ვერდერმა“ სეზონში ორჯერ წააგო და აქედან ერთი მარცხი „შტუტგარტმა“. ბრემელენები ხვალ სწორედ შტუტგარტს ესტუმრებიან და დავიწყებულ მძლეველებს თვალებში ჩახედავენ. „ჩვენ შეგვიძლია, იგივე გავიმეოროთ“ — დაიქადნა მასპინძელმა სილვიო მეისნერმა, რომელსაც ამ მატჩში თანაგუნდელი ანდრეას ჰინკელი ტრავმის გამო ვერ დაეხმარება.

„შტუტგარტის“ გულშემატკივარი იქნება მიუნხენის „ბაიერნი“. ოტმას ჰიცფელდს ჩემპიონობაზე ხელი ბოლომდე არ ჩაუქნევია. ფელიქს მაგათის გუნდი „ვერდერს“ თუ სძლევს, ხოლო „ბაიერნი“ მიონხენგლადბახელებს მოუგებს, ინტრიგა გაცოცხლდება. მიუნხელებს ტრავმირებული რობერტ კოვაჩი დააკლდება, „გლადბახს“ კი „ბაიერნი“ ბუნდესლიგის ისტორიაში ერთადერთხელ, 1995 წელს დაუმარცხებია.

ლევერკუზენში „ბაიერი“ მაჩანჩალა დედაქალაქელებს უმასპინძლებს. შესაძლოა, ფარმაცევტებს იენს ნოვოტნი დაუბრუნდეს, ხოლო „ჰერტას“, რომელიც დასარჩენად იბრძვის, ბარტ გოორი და არნე ფრიედრიხი არ ეყოლებათ.

როსტოკის „ჰანზამ“ წინა ტურში [illegible] ვერკუზენელებთან წააგო და ზედიზედ მეორე მარცხს არ აპირებს. „ვოლფსბურგს“ ჰანზელებთან მხოლოდ ერთხელ, შარშან წაუგია. „მგლებს“ მცველი შტეფან შნოორი დააკლდებათ.

„ფრაიბურგს“ შანსი აქვს, დაჩაჩანაკებულ „კიოლთან“ სამი ქულა მიითვალოს, თუმც „თხები“ რქებით იბრძვიან ბუნდესლიგური სახლისთვის და ფოლკერ ფინკეს გუნდს იოლად არ დანებდებიან.

ფრანკფურტში „აინტრახტს“ სათადარიგოთა სკამზე მწვრთნელი ვილი რაიმანი ვერ დაჯდება. წინა ტურში, დორტმუნდში, მსაჯთან კამათისთვის იგი ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

„აინტრახტის“ მეტოქე „ლომებს“ ახალი პრეზიდენტი ჰყავთ, კარლ აუერი, რომელმაც „მიუნხენ 1860-ის მწვრთნელ ფალკო გიოტცს ნდობა გამოუცხადა, შეგიძლია, საქმე მშვიდად განაგრძოო.

ორი კვირის წინ „ჰანოვერის“ თავკაცად დანიშნულ ევალდ ლინენს პირველი გამარჯვების მოპოვება სურს და საამისოდ დორტმუნდის „ბორუსიას“ უნდა სძლიოს. სტუმრებს კვლავ არ ეყოლებათ ტომაშ როსიცკი და მარსიო ამოროზო.

რურულ დერბიში კერკეტი „ბოხუმი“ „შალკეს“ დაუხვდება. გელზენკირხენელებს მეკარე ფრანკ როსტი, მცველი ანიბალ მატელანი და ჯერარდ ასამოა დააკლდებათ.

„ჰამბურგი“ ნაცნობ მწვრთნელს, ავსტრიელ კურტ იარს ნახავს, რომელიც ჰამბურგიდან „კაიზერსლაუტერში“ წავიდა და გუნდი ცხრილის ფსკერიდან ზევით აწია. მასპინძლების ტრავმირებული მეკარე მარტინ პიკენჰაგენი ჯერ არ გამოჯამრთელებულა. სტუმრებს კი დისკვალიფიკაციის გამო ალექსანდრ კნავსი ვერ დაეხმარება.

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

## თვალში არ მომხვდე, ხორხე!

| XXX ტური | | |
| --- | --- | --- |
| **დღეს** | | |
| 04.00 | 1382 | ატლანტა-ჩიკაგო | 1,3 | 10,0 | 2,5 | 1,15 | 1 | 2 |
| 04.30 | 1383 | კლივლენდი-ნიუ ჯერსი | 1,65 | 10,0 | 1,85 | 1,41 | 1 | 1,56 |
| 04.30 | 1384 | დეტროიტი-ნიუ იორკი | 1,2 | 10,0 | 3,0 | 1,07 | 1 | 2,3 |
| 06.30 | 1385 | სან ანტონიო-ფინიქსი | 1,03 | 10,0 | 5,3 | 1 | 1 | 3,46 |
| 07.00 | 1386 | იუტა-დენვერი | 1,35 | 10,0 | 2,5 | 1,18 | 1 | 2 |
| 08.00 | 1387 | პორტლენდი-სიეტლი | 1,3 | 10,0 | 2,6 | 1,15 | 1 | 2,06 |
| 08.30 | 1388 | კლიპერსი-მინესოტა | 2,6 | 10,0 | 1,25 | 2,06 | 1 | 1,11 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო)**
**(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 5214 | ბირმინგემი-ლიდსი | 1,8 | 1,8 |
| 5215 | ბლეკბერნი-პორტსმუთი | 1,8 | 1,8 |
| 5216 | ჩარლტონი-ასტონ ვილა | 1,85 | 1,75 |
| 5217 | ჩელსი-ვულვერჰემპტონი | 2,0 | 1,6 |
| 5218 | ევერტონი-მიდლსბრო | 1,8 | 1,8 |
| 5219 | სიტი-ფულემი | 1,85 | 1,75 |
| 5220 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 5221 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1,8 | 1,8 |
| 5222 | ლესტერი-ლივერპული | 1,8 | 1,8 |
| 5223 | არსენალი-მანჩესტერი | 1,9 | 1,7 |
| 5224 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1,95 | 1,65 |
| 5225 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 2,2 | 1,5 |
| 5226 | ლევერკუზენი-ჰერტა | 2,1 | 1,55 |
| 5227 | ფრაიბურგი-კიოლნი | 1,95 | 1,65 |
| 5228 | აინტრახტი-მიუნხენი | 1,85 | 1,75 |
| 5229 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 1,95 | 1,65 |
| 5230 | ბოხუმი-შალკე | 1,8 | 1,8 |
| 5231 | შტუტგარტი-ვერდერი | 1,8 | 1,8 |
| 5232 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 1,7 |
| 5233 | ბრეშა-ანკონა | 1,95 | 1,65 |
| 5234 | იუვენტუსი-მოდენა | 1,95 | 1,65 |
| 5235 | მილანი-კიევო | 1,9 | 1,7 |
| 5236 | პარმა-ემპოლი | 1,8 | 1,8 |
| 5237 | პერუჯა-ლაციო | 1,8 | 1,8 |
| 5238 | რეჯინა-ინტერი | 1,75 | 1,85 |
| 5239 | რომა-ბოლონია | 1,9 | 1,7 |
| 5240 | სამპდორია-ლეჩე | 1,75 | 1,85 |
| 5241 | სიენა-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 5242 | მალაგა-ალბასეტე | 1,8 | 1,8 |
| 5243 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 1,6 | 2,0 |
| 5244 | ვილარეალი-ატლეტიკო | 1,8 | 1,8 |
| 5245 | ბეტისი-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| 5246 | სოსიედადი-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| 5247 | მურსია-მალიორკა | 1,75 | 1,85 |
| 5248 | სელტა-სარაგოსა | 1,85 | 1,75 |
| 5249 | ესპანიოლი-ბილბაო | 1,8 | 1,8 |
| 5250 | რეალი-სევილია | 2,0 | 1,6 |
| 5251 | რასინგი-ვალენსია | 1,75 | 1,85 |

## ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5314 | ბირმინგემი-ლიდსი | 1,7 | 1,9 |
| 5315 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 1,75 | 1,85 |
| 5316 | ჩარლტონი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 5317 | ჩელსი-ვულვერჰემპტონი | 1,9 | 1,7 |
| 5318 | ევერტონი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 5319 | სიტი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5320 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 1,75 | 1,85 |
| 5321 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5322 | ლესტერი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5323 | არსენალი-მანჩესტერი | 1,65 | 1,95 |
| 5324 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5325 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1,7 | 1,9 |
| 5326 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,6 | 2,0 |
| 5327 | ფრაიბურგი-კიოლნი | 1,65 | 1,95 |
| 5328 | აინტრახტი-მიუნხენი | 1,65 | 1,95 |
| 5329 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 1,65 | 1,95 |
| 5330 | ბოხუმი-შალკე | 1,65 | 1,95 |
| 5331 | შტუტგარტი-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 5332 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 1,95 |
| 5333 | ბრეშა-ანკონა | 1,7 | 1,9 |
| 5334 | იუვენტუსი-მოდენა | 1,8 | 1,8 |
| 5335 | მილანი-კიევო | 1,75 | 1,85 |
| 5336 | პარმა-ემპოლი | 1,65 | 1,95 |
| 5337 | პერუჯა-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5338 | რეჯინა-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 5339 | რომა-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 5340 | სამპდორია-ლეჩე | 1,65 | 1,95 |
| 5341 | სიენა-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 5342 | მალაგა-ალბასეტე | 1,65 | 1,95 |
| 5343 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 5344 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 5345 | ბეტისი-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |
| 5346 | სოსიედადი-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5347 | მურსია-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 5348 | სელტა-სარაგოსა | 1,65 | 1,95 |
| 5349 | ესპანიოლი-ბილბაო | 1,65 | 1,95 |
| 5350 | რეალი-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 5351 | რასინგი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5414 | ბირმინგემი-ლიდსი | 1,6 | 2,4 |
| 5415 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 1,55 | 2,5 |
| 5416 | ჩარლტონი-ასტონ ვილა | 1,8 | 2,0 |
| 5417 | ჩელსი-ვულვერჰემპტონი | 1,15 | 4,4 |
| 5418 | ევერტონი-მიდლსბრო | 1,8 | 2,0 |
| 5419 | სიტი-ფულემი | 1,75 | 2,1 |
| 5420 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 1,85 | 1,95 |
| 5421 | ბოლტონი-ნიუკასლი | 1,95 | 1,85 |
| 5422 | ლესტერი-ლივერპული | 2,0 | 1,8 |
| 5423 | არსენალი-მანჩესტერი | 1,75 | 2,1 |
| 5424 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 1,7 | 2,2 |
| 5425 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1,25 | 3,7 |
| 5426 | ლევერკუზენი-ჰერტა | 1,55 | 2,5 |
| 5427 | ფრაიბურგი-კიოლნი | 1,4 | 2,7 |
| 5428 | აინტრახტი-მიუნხენი | 1,7 | 2,2 |
| 5429 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 1,95 | 1,85 |
| 5430 | ბოხუმი-შალკე | 1,8 | 2,0 |
| 5431 | შტუტგარტი-ვერდერი | 1,85 | 1,95 |
| 5432 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1,6 | 2,4 |
| 5433 | ბრეშა-ანკონა | 1,2 | 4,0 |
| 5434 | იუვენტუსი-მოდენა | 1,2 | 4,0 |
| 5435 | მილანი-კიევო | 1,2 | 4,0 |
| 5436 | პარმა-ემპოლი | 1,5 | 2,6 |
| 5437 | პერუჯა-ლაციო | 2,0 | 1,8 |
| 5438 | რეჯინა-ინტერი | 2,0 | 1,8 |
| 5439 | რომა-ბოლონია | 1,2 | 4,0 |
| 5440 | სამპდორია-ლეჩე | 1,5 | 2,6 |
| 5441 | სიენა-უდინეზე | 1,85 | 1,95 |
| 5442 | მალაგა-ალბასეტე | 1,6 | 2,4 |
| 5443 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 1,8 | 2,0 |
| 5444 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1,8 | 2,0 |
| 5445 | ბეტისი-ბარსელონა | 2,1 | 1,75 |
| 5446 | სოსიედადი-დეპორტივო | 1,9 | 1,9 |
| 5447 | მურსია-მალიორკა | 2,0 | 1,8 |
| 5448 | სელტა-სარაგოსა | 1,75 | 2,1 |
| 5449 | ესპანიოლი-ბილბაო | 1,9 | 1,9 |
| 5450 | რეალი-სევილია | 1,2 | 4,0 |
| 5451 | რასინგი-ვალენსია | 2,1 | 1,75 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5514 | ბირმინგემი-ლიდსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ჩარლტონი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ჩელსი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | ევერტონი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | სიტი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ბოლტონი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | ლესტერი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5523 | არსენალი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5524 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5525 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | ლევერკუზენი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | ფრაიბურგი-კიოლნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | აინტრახტი-მიუნხენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ბოხუმი-შალკე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | შტუტგარტი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | ბრეშა-ანკონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | იუვენტუსი-მოდენა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | მილანი-კიევო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | პარმა-ემპოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | პერუჯა-ლაციო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | რეჯინა-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | რომა-ბოლონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | სამპდორია-ლეჩე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | სიენა-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | მალაგა-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | ბეტისი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | სოსიედადი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | მურსია-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5548 | სელტა-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5549 | ესპანიოლი-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5550 | რეალი-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5551 | რასინგი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5014 | ბირმინგემი-ლიდსი | 2,2 | 2,1 | 4,8 | 1,07 | 1,5 | 1,46 |
| 5015 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 5016 | ჩარლტონი-ასტონ ვილა | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 5017 | ჩელსი-ვულვერჰემპტონი | 1,35 | 3,6 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,48 |
| 5018 | ევერტონი-მიდლსბრო | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 5019 | სიტი-ფულემი | 2,4 | 2,1 | 4,2 | 1,12 | 1,52 | 1,4 |
| 5020 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 5021 | ბოლტონი-ნიუკასლი | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1,28 | 1,54 | 1,21 |
| 5022 | ლესტერი-ლივერპული | 4,0 | 2,1 | 2,45 | 1,37 | 1,51 | 1,13 |
| 5023 | არსენალი-მანჩესტერი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1,11 | 1,54 | 1,37 |
| 5024 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1,1 | 1,53 | 1,42 |
| 5025 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1,45 | 3,1 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,19 |
| 5026 | ლევერკუზენი-ჰერტა | 2,1 | 2,15 | 5,0 | 1,06 | 1,47 | 1,5 |
| 5027 | ფრაიბურგი-კიოლნი | 1,9 | 2,15 | 5,0 | 1 | 1,37 | 1,5 |
| 5028 | აინტრახტი-მიუნხენი | 2,4 | 2,1 | 4,2 | 1,12 | 1,52 | 1,4 |
| 5029 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1,28 | 1,54 | 1,21 |
| 5030 | ბოხუმი-შალკე | 2,7 | 2,1 | 3,4 | 1,18 | 1,5 | 1,29 |
| 5031 | შტუტგარტი-ვერდერი | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |
| 5032 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 5033 | ბრეშა-ანკონა | 1,35 | 2,8 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,03 |
| 5034 | იუვენტუსი-მოდენა | 1,45 | 3,1 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,19 |
| 5035 | მილანი-კიევო | 1,5 | 3,1 | 7,5 | 1,01 | 1,25 | 2,19 |
| 5036 | პარმა-ემპოლი | 2,1 | 2,1 | 5,3 | 1,04 | 1,5 | 1,5 |
| 5037 | პერუჯა-ლაციო | 3,8 | 2,05 | 2,6 | 1,33 | 1,54 | 1,14 |
| 5038 | რეჯინა-ინტერი | 4,0 | 2,05 | 2,5 | 1,35 | 1,53 | 1,12 |
| 5039 | რომა-ბოლონია | 1,5 | 3,1 | 7,5 | 1,01 | 1,25 | 2,19 |
| 5040 | სამპდორია-ლეჩე | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5041 | სიენა-უდინეზე | 3,1 | 2,05 | 3,2 | 1,23 | 1,57 | 1,24 |
| 5042 | მალაგა-ალბასეტე | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 5043 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5044 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5045 | ბეტისი-ბარსელონა | 4,0 | 2,1 | 2,45 | 1,37 | 1,51 | 1,13 |
| 5046 | სოსიედადი-დეპორტივო | 3,2 | 2,0 | 3,2 | 1,23 | 1,6 | 1,23 |
| 5047 | მურსია-მალიორკა | 3,6 | 2,05 | 2,6 | 1,3 | 1,5 | 1,14 |
| 5048 | სელტა-სარაგოსა | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 5049 | ესპანიოლი-ბილბაო | 3,1 | 2,05 | 3,2 | 1,23 | 1,57 | 1,24 |
| 5050 | რეალი-სევილია | 1,5 | 2,9 | 7,5 | 1 | 1,25 | 2,09 |
| 5051 | რასინგი-ვალენსია | 4,0 | 2,1 | 2,45 | 1,37 | 1,51 | 1,13 |

| 1-ლი | ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5114 | ბირმინგემი-ლიდსი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5115 | ბლექბერნი-პორტსმუთი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5116 | ჩარლტონი-ასტონ ვილა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5117 | ჩელსი-ვულვერჰემპტონი | 1,45 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |
| 5118 | ევერტონი-მიდლსბრო | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5119 | სიტი-ფულემი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5120 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5121 | ბოლტონი-ნიუკასლი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5122 | ლესტერი-ლივერპული | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5123 | არსენალი-მანჩესტერი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5124 | ჰანზა-ვოლფსბურგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5125 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |
| 5126 | ლევერკუზენი-ჰერტა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5127 | ფრაიბურგი-კიოლნი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5128 | აინტრახტი-მიუნხენი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5129 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5130 | ბოხუმი-შალკე | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5131 | შტუტგარტი-ვერდერი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5132 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5133 | ბრეშა-ანკონა | 1,3 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5134 | იუვენტუსი-მოდენა | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5135 | მილანი-კიევო | 1,65 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5136 | პარმა-ემპოლი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5137 | პერუჯა-ლაციო | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5138 | რეჯინა-ინტერი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5139 | რომა-ბოლონია | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5140 | სამპდორია-ლეჩე | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5141 | სიენა-უდინეზე | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5142 | მალაგა-ალბასეტე | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5143 | ვალიადოლიდი-ოსასუნა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5144 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5145 | ბეტისი-ბარსელონა | 5,0 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5146 | სოსიედადი-დეპორტივო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5147 | მურსია-მალიორკა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 5148 | სელტა-სარაგოსა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5149 | ესპანიოლი-ბილბაო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5150 | რეალი-სევილია | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,3 | 15,0 | 20,0 | 14,0 | 14,0 |
| 5151 | რასინგი-ვალენსია | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |






## ლეილა მესხი პრეზიდენტად რჩება

ავთანდილ ბუჩუკაშვილის ფოტოები

# ალექსანდრე მეტრეველი:
# სამართალს სასამართლოში ვიპოვით

გუშინ შერატონ მეტეხი პალასში ჩოგბურთის ფედერაციის ყრილობა მოქმედი პრეზიდენტის ლეილა მესხის პრეზიდენტადვე დარჩენით დასრულდა. დღის წესრიგის ძირითადი ნაწილი საპრეზიდენტო არჩევნები იყო და ჩოგბურთში მოტრიალე ხალხმა ეს საკითხი ყრილობის ბოლოსთვის მოიტოვა, მაგრამ დარბაზში ისეთი ატმოსფერო იყო, მესხი რომ თანამდებობაზე დარჩებოდა, ჯერ კიდევ ყრილობის დაწყებამდე ჩანდა, უშუალოდ კენჭისყრის დაწყების წინ კი ამაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარებოდა. ერთადერთმა კონკურენტმა ალექსანდრე მეტრეველმა კანდიდატურა შუა ყრილობაზე მოხსნა.

„დღევანდელი ყრილობის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილება იურიდიულად არაუფლებამოსილმა პრეზიდიუმმა მიიღო — ამბობდა მეტრეველი — მანვე დაამტკიცა მთელი რიგი საკითხები. ასეთ არეულ სიტუაციაში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილებაც იურიდიულად გაუმართლებელი იქნება. ყრილობა მას შემდეგ უნდა ჩატარდეს, რაც ბევრ საინტერესო კითხვას პასუხი გაეცემა. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე კანდიდატურა მოვხსნა."

მეტრეველის სიტყვებს ყრილობაზე სტუმრის სტატუსით მყოფი ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის ჯანო ბაგრატიონის უკმაყოფილო რეპლიკა მოჰყვა. პრეზიდენტობის კანდიდატს მან წლების წინ ქართულ საჩოგბურთო სამყაროში მომხდარი ერთი ისტორიული ეპიზოდი გაახსენა და საქართველოს ნაკრების უზბეკეთისაში გაცვლაში დასდო ბრალი. ცხადია, ამას მეტრეველისა და მის მომხრეთა საპასუხო რეპლიკები მოჰყვა. ბაგრატიონმა კი უკვე თემურ კაკულია გააკრიტიკა, ჩემი მეგობრის ალექსანდრე მეტრეველის ნააზრევში მისი ხელწერა უფრო იგრძნობაო. მესხის კონკურენტმა გუნდმა დარბაზი დატოვა.



თეიმურაზ კაკულია

### ალექსანდრე მეტრეველი

— კანდიდატურის წამოყენებისთანავე დარწმუნებული ვიყავი, რომ გამარჯვების მცირე შანსიც კი არ მქონდა. ეს ნაბიჯი, უბრალოდ, ჩემი პოზიციის დასაფიქსირებლად გადავდგი. არ მინდა ფედერაციის შიდა ფინანსურ მხარეზე საუბარი, მაგრამ ფაქტია, არც ამ და არც სხვა მრავალ სფეროებში სიწმინდე არაა. დღეს საქართველოში ჩოგბურთის პრივატიზაცია ხდება. ყველაფერი ერთი პიროვნების ხელში გადადის და გარწმუნებთ, ეს დამღუპველია. გასაქანი ყველას უნდა მიეცეს, თუ გვინდა, რომ ქართული ჩოგბურთი წინ წავიდეს. ჯანო ბაგრატიონის სიტყვები კი სისულელეა და მეტი არაფერი. ურჩევნია არცთუ შორეული ისტორია უკეთ გაიხსენოს და მთელ სიბინძურეს სულ სხვა თვალით, სიმართლის თვალით შეხედოს.

### თეიმურაზ კაკულია

— დარბაზში ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა. ჯობია, მტყუან-მართალი სასამართლომ გაარკვიოს. სარჩელს ალბათ ახლო მომავალში შევიტანთ. ყრილობა რომ გაყალბებული იყო, ამაზე საუბარიც ზედმეტია. მთავარი პრობლემა ქართულ ჩოგბურთში გამეფებული სიბინძურეა.

ამ კომენტარების დროს კი დარბაზში უკვე სრული ერთსულოვნება სუფევდა. ხმის უფლების მქონე 85 დელეგატიდან იქ 63 იმყოფებოდა და იურისტ დავით ლანჩავას მიერ წარმოდგენილ ახალ წესდებას უსმენდა. ოციოდ წუთში წესდება ერთხმად დამტკიცდა და საპრეზიდენტო არჩევნების ჯერიც დადგა. 63-ვე მომხრის მხარდაჭერით თანამდებობაზე ლეილა მესხი დარჩა.

მადლობასთან ერთად მესხმა დარბაზს ახალი 17-კაციანი გამგეობაც წარუდგინა, რომელშიც ალექსანდრე მეტრეველიც შეიყვანა. დაპირისპირება კაკულიას ჩარევით მოხდა, თორემ მეტრეველთან საერთო ენა აუცილებლად უნდა გამოვნახოთო — თქვა მან. ახლადარჩეულ პრეზიდენტს გამარჯვება სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გოკა გაბაშვილმაც მიულოცა და წარმატებებთან ერთად მოწინააღმდეგე გუნდთან საერთო ენის გამონახვაც უსურვა. ბოლოს ყრილობამ მორიგი არჩევნების ვადაც დაამტკიცა. იგი 2008 წლის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ გაიმართება.

### ლეილა მესხი

— მიხარია, რომ ყრილობა ერთსულოვანი იყო და ჩემი შრომა დაფასდა. მცირე დაპირისპირება კი ხელოვნურად შეიქმნა. ეს კაკულიას სტილია. მან დარბაზი წინა არჩევნებზეც დატოვა. ასე რომ, ამ პრობლემას მოევლება. ახლა მთავარი უკეთესი მომავლისთვის მუშაობაა, წინსვლები კი აშკარად იგრძნობა. თუნდაც დიღმის მშენებარე ბაზა ავიღოთ. და მთავარი, 1992 წლის შემდეგ საქართველოს ოლიმპიურ თამაშებზე ჩოგბურთელი არ ჰყოლია. თორმეტწლიანი ოცნება დასრულდა — ირაკლი ლაბაძის ათენში წასვლა გადაწყვეტილია.

**ოთარ მაღლაკელიძე**

NASDAQ-100 OPEN

მაიამი. მაგარსაფარი

კაცები

საპრიზო 3,45 მილიონი $

# ლაბაძემ დაიწყო და დაამთავრა

ინდიან უელსში ნახევარფინალამდე მისულმა ირაკლი ლაბაძემ კი ბისკეინის ამგვარსავე ტურნირში ასე მარჯვედ დაწყება ვერ მოახერხა და პირველივე შემხვედრთან ქსავიე მალისთან დაუშვა ჩოგანი. შეხლა ჩვენი დროით დაახლოებით ღამის 11 საათზე დაიწყო და დიდხანს არ გაგრძელებულა. მალისმა მალევე მოახერხა უპირატესობის მოპოვება და სულ რაღაც 50 წუთში 6:2, 6:0 მოამთავრა მატჩი.



### პირველი წრე

**ტაილორ დენტი** (აშშ) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:3, 6:3; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 7:5, 2:6, 6:4; **რადეკ სტეპანეკი** (ჩეხეთი) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:3, 6:4; **ვინს სპედია** (აშშ) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:7 (12:14), 7:6 (7:4), 6:1; **ლარს ბიურგსმიულერი** (გერმანია) — ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 7:5, 6:4; **დავიდ სანჩესი (ესპანეთი)** — ლუის ორნა (პერუ) 6:4, 6:4; **კაროლ ბეკი (სლოვაკეთი)** — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:1, 6:3; **იან ჰერნიჩი** (ჩეხეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 7:5, 7:5

ქალები

საპრიზო 3,06 მილიონი $

### პირველი წრე

**ემი ფრეზერი** (აშშ) — კარა ბლეკი (ზიმბაბვე) 6:4, 6:2; **ბარბორა სტრიჩოვა** (ჩეხეთი) — სამანტა რივზი (აშშ) 7:6 (7:3), 6:3; **მარიანა დიას-ოლივა** (არგენტინა) — ანკა ბარნა (გერმანია) 6:4, 5:7, 6:1; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — მარტინა სუხა (სლოვაკეთი) 3:6, 6:0, 6:4; **ტატიანა პერებიინისი** (უკრაინა) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:3, 7:6 (8:6); **ვიქტორია კუტუზოვა** (უკრაინა) — მარისა ირვინი (აშშ) 6:3, 6:4; **ტამარინე ტანასუგარნი** (ტაილანდი) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:1, 6:3



ევროპის ქალთა ჩემპიონატი

დრეზდენი. 20 მარტი-4 აპრილი

# ქართველები ციხესიმაგრეში გამაგრდნენ

V ტური

**მაია ლომინეიშვილი** (საქართველო) — ელინა დანიელიანი (სომხეთი) 0,5:0,5, ჯოვანკა ჰოსკა (ინგლისი) — **ქეთევან არახამია-გრანტი** (საქართველო) 0:1, ემილია ჟინგალოვა (ბულგარეთი) — **ნანა ძაგნიძე** (საქართველო) 0:1, დესირე ჰამელინკი (ჰოლანდია) — **ნინო ხურციძე** (საქართველო) 0,5:0,5.

*მხოლოდ ქართველთა შედეგები*

გაჰოლანდიელებულმა წერილთვალება ზაოგინ პენგმა მეხუთე ტურში გერმანელ იზაბელ პოეტცს მოუგო და ხუთი ქულით პირველ ადგილზე ლამის როგორც აუღებელ ციხე-სიმაგრეზე ისე გამაგრდა. თუმცაღა, პენგი მაინც მხოლოდ ქულით უსწრებს მთავარ კონკურენტებს, მთავარი თამაშები კი ჯერ კიდევ წინა აქვს და რა გოგოა, მოგვიანებით გამოჩნდება.

სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესეს ჩვენმა მოჭადრაკეებმა. ძაგნიძემ მოიგო და პირველ ოცეულში შეიხედა, ხოლო არახამია-გრანტი და ლომინეიშვილი გვერდიგვერდ, მერვე-მეცხრე ადგილზე აღმოჩნდნენ. მათგან განსხვავებით წინა ტურში დამარცხებულმა ხურციძემ ყაიმით მხოლოდ ნახევარი ქულა შეჰმატა თავის აქტივს და ცხრილის შუაში გადაინაცვლა.

არახამია-გრანტი 84 სვლა ებრძოლა ჰოსკას. პარტია შავებით მოთამაშე ქართველის უპირატესობით წარიმართა და მალე მოსაგები პოზიციაც გამოიკვეთა. ალბიონელი ბოლომდე არ დანებებულა და ბრძოლა გააგრძელა, თუმც თავის სასიკეთოდ ვერაფერი შეცვალა და დამარცხებაც აღიარა.

საინტერესო პარტია გამოუვიდათ ძაგნიძესა და ჟინგალოვას. მათ თავიდანვე გაცვლითი თამაში არჩიეს და ფიგურების ხოცვას შეუდგნენ. მეათე სვლაზე მეტოქენი დროებით დაწყნარდნენ და სტრატეგიული განვითარება დაიწყეს. ქართველი მარცხენა ფლანგიდან მიეძალა ბულგარელს და შავი პაიკი ეტლთან ერთად წინ წასწია. მოწინავე ფიგურების შესაკავებლად თეთრებმა ყურადღება მარცხნივ გადაიტანეს და საკუთარ ხელმწიფეს დაცვა შეუმცირეს. ნანაც ალბათ ამას ელოდა, მარჯვნიდან შეუტია მეტოქეს და ჟინგალოვამაც 39-ე სვლაზე კაპიტულაცია გამოაცხადა.

**ლუბა გეგეჭკორი**



ზაოგინ პენგი

ევროპის ერთა თასი. მეხუთე ტური. 27 მარტი. იასი

# რუმინეთი VS საქართველო

# შარშანწინდელიც კი გვახსოვს

## ბორჯღალოსნებს რუმინეთში ჯერ არ წაუგიათ

**მოლდოვას** საზღვართან მდებარე ქალაქ იასში დღეს ბორჯღალოსნები ბოლო საევროპისთასო მატჩს ჩაატარებენ. წარმატების შემთხვევაში, ანთიმოზ ივერიელის გარდამავალი თასი ამაღამვე თბილისში ჩამოვა. თვითონ ერთა თასის მოგების შანსი კი საქართველომ პირველსავე ტურებში დაკარგა. რუმინელი „მუხის ფოთლები" როგორც ყოველთვის, ახლაც ფავორიტებად ითვლებიან და ქართველთა დამარცხებით ერთბაშად ორი თასის დაუფლებას გეგმავენ, თუმც ერთა თასისთვის მარტო მოგებაც არ ეყოფათ. შარშანდელი გამარჯვებული პორტუგალია პარალელურად საკუთარ მოედანზე ასევე თასისთვის მებრძოლ რუსეთთან არ უნდა შერცხვეს.

ქართულ-რუმინულ დაპირისპირებაში სტატისტიკური უპირატესობა მეტოქის მხარესაა. 5 შეხვედრიდან ოდენ ერთში იმარჯვეს ბორჯღალოსნებმა, ოთხში კი „მუხის ფოთლებმა". საგულისხმოა ერთი ფაქტიც, ის ერთი ქართული გამარჯვება რუმინელთა მოედანზე შედგა. თავად კი სამჯერ თბილისში იმარჯვეს, ხოლო ერთხელ დუბლინში, მსოფლიოს თასზე გასასვლელ ბრძოლაში.

საქართველოს ნაკრები რუმინეთში გუშინ ჩარტერული რეისით გაფრინდა და უკან თამაშის დასრულებისთანავე გამობრუნდება. საამმატჩო ოცდაორკაციანი შემადგენლობა ჯერ კიდევ კვირის დასაწყისში გაიკვა, მაგრამ წასვლის წინა დღეს ერთი იძულებითი ცვლილება მაინც მოხდა. ზვიად მაისურაძემ ვარჯიშისას საზარდული დაიზიანა და მისი ადგილი შალვა პაპაშვილმა დაიკავა.

შემადგენლობიდან აშკარად ჩანს, რომ ნაკრების თავკაცები დღეს შერკინების ხარჯზე აპირებენ უპირატესობის მოპოვებას. წინა შაბათს ჩეხეთის მძლეველ ხუთ პირველხაზელს სარუმინეთოდ საფრანგეთში მოთამაშე ლევან ჯაველიძე დაემატა. მის გარდა გუნდს დაუბრუნდა რუსეთთან ყოჩაღად ნაბურთალი მესამეხაზელი ილია მაისურაძეც. სხვა გამოცდილი ლეგიონერების ჩამოყვანა კი ვერ მოხერხდა. ბევრს ტრავმამ შეუშალა ხელი, ზოგი კი ჰონკონგში წასულ შვიდკაცა ნაკრებს დაუთმეს.

ბოლოს ერთი საინტერესო ფაქტიც, დღევანდელი შემადგენლობიდან 2001 წლის 7 აპრილს რუმინელთა ძლევაში მონაწილეობა ოთხ მორაგბეს მიუღია. მევლუდ მთიულიშვილი, ილია ზედგინიძე და თედო ზიბზიბაძე ძირითადში იდგნენ. ლევან ჯაველიძე კი სათადარიგო იყო. ალბათ დღესაც ასე იქნება. იქნებ შედეგიც სამი წლის წინანდელი გამოცხვეს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

| რუმინეთი | | საქართველო |
|---|---|---|
| ვალენტინ მაფტეი | 15 | ოთარ ბარკალაია |
| ლუჩიან სირბუ | 14 | გიორგი შკინინი |
| კრისტიან სუანი | 13 | თედო ზიბზიბაძე |
| რომეო გონტინიაკი | 12 | ლაშა ფირფილაშვილი |
| კონსტანტინ გეარა | 11 | ნონო ანდღულაძე |
| დანუ დუმბრავა | 10 | ბობა კვინიხიძე |
| იულიან ანდრეი | 9 | მერაბ კვირიკაშვილი |
| სორინ სოკოლი (კაპ) | 8 | ბესიკ უდესიანი |
| ოვიდიუ ტონიცა | 7 | გიორგი ჩხაიძე |
| მარიან ტუდორი | 6 | ილია მაისურაძე |
| ფლორინ ტატუ | 5 | მამუკა გორგოძე |
| აუგუსტინ პეტრიჩეი | 4 | ილია ზედგინიძე (კაპ) |
| მარსელ სოკაჩიუ | 3 | ნიკო ჭავჭავაძე |
| რაზვან მავროდინი | 2 | დავით დადუნაშვილი |
| პეტრისორ ტოდერაშკი | 1 | მევლუდ მთიულიშვილი |
| **სათადარიგოები** | | |
| ცეზარ პოპესკუ | 16 | გიორგი კუთარაშვილი |
| ბოგდან ზებეგა | 17 | სანდრო ესაკია |
| დრაგოშ დიმა | 18 | ლევან ჯაველიძე |
| კრისტიან პეტრე | 19 | დავით ჟღენტი |
| მადალინ ბარაულეა | 20 | შალვა პაპაშვილი |
| იონუც ტოფანი | 21 | ბიძინა სამხარაძე |
| იოან თეოდორესკუ | 22 | დენის პინჩუკოვი |

**მსაჯი:** სტეფანო მანჩინი (იტალია)

**ყველა მატჩი რუმინეთთან**

1998. 18 ნოემბერი. დუბლინი
**რუმინეთი 27:23 საქართველო**

2000. 2 აპრილი. თბილისი
**საქართველო 20:23 რუმინეთი**

2001. 7 აპრილი. ბუქარესტი
**რუმინეთი 20:31 საქართველო**

2002. 6 აპრილი. თბილისი
**საქართველო 23:31 რუმინეთი**

2003. 30 მარტი. თბილისი
**საქართველო 6:19 რუმინეთი**



ყველაზე დიდი სარაგბო გამარჯვება: ბორჯღალოსნებმა 2001 წელს ბუქარესტში „მუხის ფოთლები" დაამარცხეს და ერთა თასი მოიპოვეს

## ევროპის ერთა თასი 2004

**ბოლო ტური**

27 მარტი

**ჩეხეთი — ესპანეთი**

**პორტუგალია — რუსეთი**

**გადადებული მატჩი**

12 ივნისი

**რუსეთი — ჩეხეთი**

**სატურნირო ვითარება**

| | თ | ბ | ქ |
|---|---|---|---|
| რუმინეთი | 4 | +105 | 10 |
| პორტუგალია | 4 | -4 | 10 |
| საქართველო | 4 | +17 | 9 |
| რუსეთი | 3 | +33 | 7 |
| ესპანეთი | 4 | -86 | 4 |
| ჩეხეთი | 3 | -65 | 3 |

## ექვსი ერი 2004

*ამ უქმეებზე ევროპის ექვსი ბობოლა ერი ბოლო ტურს ჩაითამაშებს. ინტრიგა, იცოცხლეთ, ღვივის კონტინენტის მთავარ სანაკრებო ტურნირში, ჩემპიონობის შანსი ტრადიციულ ფავორიტებთან ინგლისსა და საფრანგეთთან ერთად ირლანდიასაც შემორჩა. თუმც ირლანდია ირლანდიელთა და მათ საკბილო შოტლანდიელთა გარდა დროებით ყველას დაავიწყდება — შაბათს საფრანგეთი პარიზში უკვე ლამის ეიფელის კოშკივით განთქმულ „სტად დე ფრანსეზე" მსოფლიოს ძლეულ ჩემპიონ ინგლისს მიიღებს*

# კაპენაჩო რაგბიში?

## სისხლის სუნი იტალიასაც მიუვიდა

27 მარტი. პარიზი

**საფრანგეთი — ინგლისი**

ინგლისი რომ უძლეველი არაა, მით უმეტეს მსოფლიოს თასის გმირების — მარტინ ჯონსონისა (პენსია) და ჯონი უილკინსონის (ტრავმა) გარეშე, ეს ირლანდიამაც უდიდესი, სიამოვნებით ცხადჰყო. უილკინსონის მარცხენას ბევრჯერ გადაურჩენია „ვარდები" აკაფვისაგან და ახლა უმისოდ და მის შემცვლელ პოლ გრეისონის გარეშე დარჩენილი ინგლისელები არცთუ მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდნენ. ყმაწვილი ოლი ბერკლის კიდევ ბევრი ტესტი აკლია ამხელა გუნდის ნამდვილ მესაჭედ ჩამოყალიბებამდე და დღესაც ერთობ გაუჭირდება მოედანზე გუნდის მართვა. მით უმეტეს, რომ ის სამიზნეში ამოუღია ფრანგთა გრძელხელება მონადირე სერჟ ბესენს. გავიხსენოთ, სწორედ ბესენმა „მოგუდა" 2002 წელს უილკინსონი და შედეგად საფრანგეთმა შარშანწინდელი ექვსი ერი დიდი სლემით მოიგო.

ფრანგებს 80 წუთი აშორებთ ტრიუმფამდე — ტრიუმფალური თაღიც იქვე აქვთ — მაგრამ 80 წუთი სათქმელად და დასაწერადაა იოლი, თორემ ხვალ მოედანზე მყუდროდ ირლანდიელი არბიტრი თუ იგრძნობს თავს. ინგლისის დამარცხება ჯონსონ-უილკინსონის არყოფნაშიც არაა ელისეს მინდვრებზე გასეირნება.

„მამლებსაც" ვერ გაჰყავთ მინდორზე სასურველი 15-ეული. უელსთან მესამე ტურის მატჩში დაემტვრათ შერკინების გამთამაშებელი(9) ჟან ბაპტის ელისალდე, რომელიც ხაზის გამთამაშებლის (10) ფრედერიკ მიშალაკის თანაგუნდელია „ტულუზში" და მასთან ერთად მშვენივრად შეთამაშებულ ნახევარმცვის წყვილს ქმნიდა. თუმცა ფრანგებს იმდენად მძლავრი შიდა ჩემპიონატი აქვთ და იმდენად ფართოა ბერნარ ლაპორტის „საარჩევნო სია", რომ ერთი კაცის გამოკლება კატასტროფა არაა (ისევე როგორც ინგლისისთვის). პირიქით, ელისალდეს შემცვლელად გამწესებულმა დიმიტრი იაშვილმა ერთი კვირის წინ შოტლანდიის 0:31 განადგურებაში „მამლაყინწას" წილი დაიდო, ბურთის გათამაშებასთან ერთად მიშალაკს დარტყმის უფლებაც „სთხოვა" და 16 ქულა თავის წილად მიითვალა.

27 მარტი, კარდიფი

**უელსი — იტალია**

იტალიელები ყინჩად დადიან, აქაოდა, შარშან უელსს მოვუგეთ, წლეულს შოტლანდიასო. მორჩა ჩვენი მაჩანჩალობა, სისხლის სუნი ვიყნოსეთ და ვისაც რაგბის თამაში მობეზრებია, გვიფრთხილდესო. ესაო, ისაო, გაუვალი დაცვა გვაქვსო... უელსელები კი ულვაშებში იცინიან, თქვენ რაგბი ისევ ფეხბურთი გგონიათ და ეგ საკენკი „კატენაჩოზე" და ეგეთ სისულელეებზე ამ ზაფხულს პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატზე რომ ჩახვალთ იქ გაფანტეთო.

დაცვის გარეშე თავისთავად არც რაგბი ვარგა, მაგრამ ეშხით და ჯიგრით მობურთალი უელსი თითქმის ყოველ თამაშში ამტკიცებს, რომ შეტევა და ლელოს გატანა სხვებზე და, მათ შორის, ბევრ ბობოლაზე უკეთ რომ ეხერხება.

და თქვენ რა შეგიძლიათო, ეძახიან კუნძულელები ნახევარკუნძულელებს — ოთხ თამაშში ერთი ლელო ძლივს გაგიტანიათ და შოტლანდიის ჩავარდნით თუ გისარგებლიათო. თქვენთვისვე იქნება კარგი თუ ჩვენც შოტლანდიად არ მოგეჩვენებითო.

ერთი სიტყვით, ისეთი ფრაზების კორიატნელია, დიდი ბრძოლების წინ მოკრივეები ხალხის გასართობად დაუზარლად რომ აფრქვევენ.

27 მარტი. დუბლინი

**ირლანდია — შოტლანდია**

გული მოგიკვდება შოტლანდიის ცქერაში — მარცხი იტალიასთან, 0:31 განადგურება საფრანგეთთან. ახლა ირლანდიის ჯერია, ერთი მუშტიც „კელტი" ბიძაშვილისგან მოხვდება... სადღაა სქოთური ჯიგარი, „ნარშავას" ლაშქარს ეკლები მოსტეხია, ველარც იჩხვლიტებიან...

ირლანდია კი თქვიქნემის მუსვრის შემდეგ ისეთი ალგზნებულია...

**ძოტე ყორშია**

**სატურნირო ვითარება**

| | თ | მ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 4 | +81 | 8 |
| ინგლისი | 4 | 3 | +67 | 6 |
| ირლანდია | 4 | 3 | +25 | 6 |
| უელსი | 4 | 1 | -25 | 2 |
| იტალია | 4 | 1 | -76 | 2 |
| შოტლანდია | 4 | 0 | -72 | 0 |





რამდენიმე წლის წინ ბიძინა გეგიძემ (მარჯვნივ) სწორედ გოჩა სვანიძის დახმარებით შეადგინა ამჟამად დავის საგნად ქცეული რაგბის კავშირის წესდება

# გოჩა სვანიძე: იქნებ კავშირია ოპოზიცია?

## თავის დროზე გეგიძემ გამგეობას მხოლოდ არჩევნების მოწვევის უფლება დაუტოვა

*სულ რაღაც ორ დღეში ქართული რაგბის შეიძლება ახალი პრეზიდენტი ჰყავდეს. 9-წლიანი საქმიანობის შემდეგ ბიძინა გეგიძეს აზრობრივ მოწინააღმდეგეთა სოლიდური ჯგუფი გამოუჩნდა და ამ ჯგუფის არაერთი წარმომადგენელი ახლო წარსულში თავად გეგიძესთან ერთად საქმიანობდა. პრეზიდენტის მოწინააღმდეგე ჯგუფი, რომელშიც რაგბის კავშირის გამგეობის წევრთა სრული უმრავლესობა შედის, პირობითად გაერთიანებულია რაგბის მხარდამჭერთა ლიგის გარშემო. ლიგის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლავთ ცნობილი ადვოკატი და ყოფილი მორაგბე გოჩა სვანიძე, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა რაგბის კავშირის წესდების შედგენაში. მოგეხსენებათ, რამხელა დავაა ატეხილი ამ წესდების და პრეზიდენტის არჩევნების განმეორებით დანიშვნა-არდანიშვნის საკითხის გარშემო. გოჩა სვანიძე ამ და სხვა აქტუალურ თემებზე საუბრობს*

— მართალია, 1994 წელს აქტიურ რაგბის თავი დავანებე და ტრიბუნაზე გადავინაცვლე გულშემატკივრის სტატუსით, მაგრამ ეს სამყარო ჩემთვის ყველაფერია. სწორედ ამიტომ ვთვლი თავს ვალდებულად, რომ დავეხმარო ქართულ რაგბის, თითოეულ მორაგბეს, მიუხედავად იმისა, რომ მე პირადად არც მწვრთნელობას ველი და არც რაიმე თანამდებობას რაგბის კავშირში.

**— სანამ არჩევნებზე დაიწყებოდა ლაპარაკი, კავშირთან რაიმე შეხება თუ გქონდათ?**

— მაშინ ცოტა შორიდან დავიწყებ. 1997 წელს თუ არ ვცდები, თამაზ მგელიძემ და იგივე ბიძინა გეგიძემაც ორგანიზაციულ საკითხებში იურიდიული დახმარება მთხოვეს. მე პროფესიით ადვოკატი ვარ. მაშინ სამოქალაქო კოდექსი ახალ მიღებული გახლდათ და აუცილებელი იყო, ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წესდება სამოქალაქო კოდექსთან შესაბამისობაში ყოფილიყო. ვადა, 98 წლის ბოლომდე გვქონდა. პირველი და მნიშვნელოვანი, რაც გავაკეთეთ, რაგბის კავშირის შეიქმნა იყო. მისი დამფუძნებლები კლუბები გახდნენ. შემდეგ ეტაპზე კავშირის წევრად ავტომატურად გახდნენ ის გუნდები, რომლებიც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ. ეს წესდება არ არის მარტო ჩემი შექმნილი, ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ რაგბის კავშირის წევრებიც.

**— კონკრეტულად ვინ?**

— სერიოზული სამუშაოები ჩაატარა გია ჭუმბურიძემ, თამაზ მგელაძე კოორდინირებას უწევდა... მერაბ ანთაძე, იგივე ბათუ კავლიშვილი, გოჩა აბაშიძე, გუგა გეგენავა, ირაკლი იმნაძე... ხომ ხედავთ, წესდებას ერთი ავტორი არ ჰყავს და ეს ადამიანები კავშირთან თანამშრომლობდნენ.

**— რამდენიმე მათგანი გამგეობის წევრია...**

— წესდებას ჰქონდა ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი — გამგეობის უფლებები მინიმუმამდე იყო დაყვანილი .ისევ და ისევ ბიძინა გეგიძის მოთხოვნით. ჩან მითხრა, ვინაიდან პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე — რომ შეძლებს ნაკრების მსოფლიოს თასზე გაყვანას — ბუნებრივია, ყველაზე მეტი პრივილიგიები მას უნდა ჰქონდა. ამიტომ დღეს მისი პრეტენზიები გამგეობასთან დაკავშირებით ჩემთვის გაუგებარია. მაშინ რაც ითხოვა, ის მიიღო. გამგეობის უფლებების საერთოდ უარყოფა ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან ასეთი წესდება რეგისტრაციაში არ გატარდებოდა. ის მინიმალური შესაძლებლობა, რაც გამგეობას დარჩა, სწორედ არჩევნების მწოწვევის უფლებაა.

**— ხომ არ იცით, რა შენიშვნები აქვს თქვენს მიმართ კავშირის ხელმძღვანელს?**

— ამბობს, ახლა გაახსენდათ რაგბის კავშირიო?

**— კავშირის ვიცეპრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, ეს წესდება ოპოზიციის დაწერილიაო.**

— გია ჭუმბურიძე ოპოზიციაა? კიდევ ერთი ვიცეპრეზიდენტი ბათუ კავლიშვლი იმიტომ ითვლება მათ მოწინააღმდეგედ, რომ გეგიძისა და მისი აზრი არ ემთხვევა? გამგეობის წევრები თამაზ მგელაძე და გუგა გეგენავაც თურმე მათი ოპონენტები ყოფილან ან გოჩა აბაშიძე- იქნება ოპოზიცია თვითონ არიან, ეს ხალხი კი პოზიციაა?

**— კიდევ ქასაშვილის სიტყვებს მოვიყვანთ: ეს ოპოზიცია, რომ იყოს კონსტრუქციული, მასთან რა თქმა უნდა, ვითანამშრომლებდითო. თქვენი აზრით, რას ნიშნავს კონსტრუქციულობა?**

— საერთოდ, როდესაც არჩევნების თემაზე ვსაუბრობთ, არ მინდა დაფიქსირდეს, თითქოს „ჩვენ გვინდა", „მერაბ ანთაძეს უნდა" ან ვინმე სხვას. რაგბის ფედერაცია თავისი სტრუქტურით ანგარიშვალდებულია კლუბების მიმართ და ყველაფერი კლუბების ინიციატივაზეა დამოკიდებული და უფლება არავის აქვს, რომ ანგარიში არ გაუწიოს მათ.

**— ბიძინა გეგიძე რას არ უწევს ანგარიშს?**

— მე არ ვიცი, გეგიძე რას გულისხმობს ანგარიშის გაწევაში. თუმცა კლუბების რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე, გეგიძისა და მისი ჯგუფის პრობლემა იმაშია, რომ მათ ვერ მოახერხეს საერთოდ კლუბების რეალური ინტერესების კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღება, რათა აზრთა ასეთი რადიკალური განსხვავება არ ყოფილიყო. სწორედ ეს გახლდათ იმისი წინაპირობა, რომ გამოჩენილიყო ასპარეზზე მერაბ ანთაძის კანდიდატურა, რომელსაც ძალუძს ამ ვითარების დარეგულირება და ალმასვლის დაწყება.

**— კონკრეტულად?**

— პირველ რიგში რაგბის კავშირმა ორგანიზაციის სახე უნდა მიიღოს. წლიური ბიუჯეტი უნდა წარმოდგენილი იქნას საერთო კრებებზე როგორც შემოსავალი, ისე ხარჯთაღრიცხვა. კავშირში ყველა თანამდებობის პირს უნდა ჰქონდეს კონკრეტული დავალებები და უნდა აკეთონ საქმე. რაც შეეხება უშუალოდ საქმიანობას, კლუბებს მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემო უნდა შევუქმნათ, რაც გულისხმობს შეჯიბრის სათანადო პირობებში გამართვას, მოედნებით უზრუნველყოფას. კლუბებს უნდა დავეხმაროთ, რომ პარალელურად გავიდნენ უცხოურ კოლეგებთან კავშირებზე. საქართველოში უნდა გაიმართოს სხვადასხვა რანგის კომერციული ტურნირი. აქედან გამომდინარე კი კლუბების ხელსაყრელი საინვესტიციო დაინტერესებაც დარეგულირდება.

**— ტრანსფერებს თუ გულისხმობთ?**

— 98 წლის წესდებაში პირდაპირ განისაზღვრება, რომ საქართველოში არსებული კლუბები ორ კატეგორიად უნდა დაიყოს — პროფისიულად და სამოყვარულოდ. სანამ ეს არ მოგვარდება, არეული იქნება ყველაფერი. უნდა შეიქმნას პირობა იმისა, რომ სატრანსფერო სისტემა მოწესრიგდეს. აუცილებელია ოფიციალური გენერალური სპონსორის ყოლა, რომელიც ჩვენს ეროვნულ ნაკრებს მიხედავს.

**— თქვენი პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა რა არის, რას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, ნაკრებს თუ ეროვნულ ჩემპიონატს?**

— ერთი მიმართულება მეორეს ხარჯზე არ უნდა განვითარდეს და პირიქით. ჩვენ ვამბობთ, რომ უნდა გაკეთდეს ყველაფერი.

**— ამბობენ, რომ ფრანგული კომპანები დაგასპონსორებენ. ხომ ვერ დაგვისახელებთ მათ?**

— თავს შევიკავებ, თუმცა ერთი მინდა იცოდეთ, რომ მართლაც სერიოზული სპონსორები არიან და იურიდიულად დოკუმენტური შეთანხმებაც არსებობს.

**— იმასაც ამბობენ, მერაბ ანთაძე დაკავებულია და ფორმალური პრეზიდენტი იქნებაო...**

— მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ის პრეზიდენტის ფუნქციებს პირნათლად შეასრულებს. აქ საუბარია იმაზე, რომ გამგეობა, როგორც მმართველობის უმაღლესი ორგანო უნდა აღდგეს და მიენიჭოს ის უფლებები, რასაც კანონი ითვალისწინებს.

**— რომ არ დაემორჩილოს არჩევნების შედეგებს კავშირის ახლანდელი ჯგუფი?**

— ეს ლოგიკისა და კანონის ფარგლებს სცილდება და კონკრეტული პასუხისგან თავს შევიკავებ. ძალიან გთხოვთ, არჩევნებს ნურავინ მიიჩნევს ტრაგედიად. თვითონ არჩევნების პერიოდში ყოველთვის არსებობს გარკვეული უფლებები და დელიკატკრი საკითხები. არჩევნები არ ნიშნავს პიროვნულ დაპირისპირებებს, იგი მეტად კონკრეტული შეხედულებების, აზრების დაპირისპირებაა და თავისთავად არჩევნების შემდგომ პერიოდში მომხრეებმა თუ ოპოზიციამ თანამშრომლობა არ უნდა შეწყვიტონ.

**ნინო ლეჟავა**

**ჰონკონგი**
**შვიდკაცა რაგბის მსოფლიო სერიის მეხუთე ეტაპი**
**26-28 მარტი**

## საქართველომ წუმით დაიწყო

**გუშინ** ჰონკონგში ტრადიციული და განთქმული შვიდკაცას ტურნირი დაიწყო, რომელშიც პირველად იღებს მონაწილეობას საქართველოს „შვიდკაცა" ნაკრები. თუმცა ქართული რაგბის საუკეთესო უკანახაზელები და რჩეული ჩაუქი ფორვარდები ახლა ჰონკონგში არიან, ჩვენმა გუნდმა პირველი მატში მაინც 0:28 წააგო შოტლანდიის არცთუ ძლიერ მოშვიდკაცეებთან და ტურნირის მოწინავე რვა გუნდს შორის დამთავრების შანსი დაკარგა. დღეს ზაზა ლეჟავას შეგირდები მძლავრ ინგლისთან და სუსტ ჩინეთთან შეხვედრებით ჯგუფურ ეტაპს დაამთავრებენ.

**საქართველოს შვიდკაცას ნაკრები**

ირაკლი აბუსერიძე
გიორგი ელიზბარაშვილი
ირაკლი გუნდიშვილი
ირაკლი გიორგაძე
ვასილ კაცაძე
ბადრი ხეხელაშვლი
გია ლაბაძე
ირაკლი მოდებაძე
დიმიტრი პავლოვი
შოთა საყვარელიძე
გრეგუარ იაშვილი
დავით ბოლლაშვილი



ქართველ მოშვიდკაცეთა მწვრნელი ზაზა ლეჟავა

**მონაწილენი**

**A ჯგუფი**
ახალი ზელანდია
იტალია
აშშ
იაპონია

**B ჯგუფი**
ინგლისი
საქართველო
შოტლანდია
ჩინეთი

**C ჯგუფი**
სამხრეთ აფრიკა
კენია
კუკის კუნძულები
ტაილანდი

**D ჯგუფი**
ფიჯი
კანადა
ჰონკონგი
პორტუგალია

**E ჯგუფი**
არგენტინა
საფრანგეთი
კორეა
სინგაპური

**F ჯგუფი**
სამოა
ავსტრალია
ნამიბია
ტაივანი

# თასის ფასმა აიწია

27 მარტი. ვერის ბაღი

## დინამო VS სტუ

დღეს საქართველოს თასის ფინალია, „დინამო“ „სტუ-ჯეოსელის“ წინააღმდეგ. 16 იანვარს რუსთავში დაწყებული და მარტის დასაწყისში ბათუმში გაგრძელებული სათასო მარათონი დღეს თბილისში, ვერის ბაღში დასრულდება. თასის პირველი გათამაშებისგან განსხვავებით, ეს ტურნირი უფრო ხანგრძლივი და უხვმატჩიანი გამოდგა, შესაბამისად, პრესტიჟიც აუმაღლდა და ტიტულის მოგებას ორივე გუნდი ფრიად ეშურება.

ამასთან, საქართველოს ქალთა თასის პირველი გათამაშების ფინალიც დღეს შედგება, ვაჟთა შერკინებამდე ტიტულისთვის „ქუთაისი“ და თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტის გუნდი იბრძოლებენ.

გუშინ კაფე „მსოფლიოო სპორტში“ სათასო ფინალის წინასამატჩო პრესკონფერენცია მოეწყო, რომელიც ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა გახსნა, ანონსი გააკეთა და სიტყვა „დინამოს“ მწვრთნელ **დრაჟენ ბრაიკოვიჩს** გადასცა...

„ფინალი ისეთი რამეა, შეცდომის უფლება არ გაქვს. ჩემპიონატში ხარვეზების გამოსწორების დრო გაქვს, აქ კი ერთი თამაშია და ვერაფერს მოასწრებ. სტუ-სა და „დინამოს“ მატჩები ყოველთვის პრინციპულ ხასიათს ატარებდა. დარწმუნებული ვარ, გამონაკლისი, არც ეს თამაში იქნება. სამწუხაროდ, არ გვეყოლება კოტე ტულუში, რომელსაც ფეხი ისევ აწუხებს. სხვები ყველანი მწყობრში არიან, ვალერი კილაძეა მხოლოდ უფორმოდ. მას კარგა ხანია, არ უთამაშია.“

**ნუგზარ ჭეიშვილი**, „სტუ-ჯეოსელის“ მთავარი მწვრთნელი: „საინტერესო და დაძაბული თამაში იქნება. ამის იმედის ჩვენს შორის აქამდე გამართული მატჩები გვაძლევს. საბედნიეროდ, თითქმის ყველა მწყობრშია. არადა, 10 დღის წინ ხუთი კაცი გვყავდა ტრავმირებული. მხოლოდ ზვიად ბაბიაშვილის თამაშია სათუო, ის ჯანმრთელად კია, მაგრამ ექიმი ურჩევს, სიფრთხილე გამოიჩინოს და ფეხის საბოლოოდ მოშუშებას დაელოდოს. არ ვიცი, შეიძლება ვათამაშოთ კიდეც.“

**ირაკლი ხოშტარია**, „დინამოს“ კაპიტანი: „4 დღეა, შეკრებილები ვართ და ამ მატჩისთვის საგანგებოდ ვემზადებით. თასის მოგება ორივე გუნდს ძალიან გვინდა და, დარწმუნებული ვარ, საინტერესო თამაში გამოვა.“

**გიორგი ნიკოლაძე**, „სტუ-ჯეოსელის“ გამთამაშებელი: „თასის მოგება ძალიან გვინდა, არაფერს დავთმობთ, „დინამოც“ მთელი მონდომებით ითამაშებს და საინტერესო მატჩი იქნება. ჩემი აზრით, უპირატესობა არც ერთ გუნდს არ აქვს, შანსები თანაბარია.“

**ირაკლი პერტაია**



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

„დინამო“ — „სტუ-ჯეოსელი“ ყოველთვის დაძაბული ბრძოლა იყო



გიორგი ცინცაძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# ჭაბუკებმა გუკი დასცეს

სათასო პრესკონფერენცია რომ დამთავრდა, მერაბ რატიშვილმა მაგიდასთან ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მამუკა კაციტაძე და ცსკასა და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე მიიწვია, რომლებმაც სახორვატიოდ გამზადებული ჩვენი გუნდის შანსებზე ისაუბრეს.

შეგახსენებთ, რომ 1-5 აპრილს ხორვატიის ქალაქ სისაკში ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართება. ჩვენი ნაკრების საბოლოო შემადგენლობა გუშინ დაასახელა მთავარმა მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა.

აი, ის თორმეტი ბიჭი, კონტინენტის 12 საუკეთესო გუნდში, ანუ ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად რომ იბრძოლებს ხორვატიაში: გიორგი ცინცაძე (ცსკა, რუსეთი), გიორგი გამყრელიძე (დინამო), ბესიკ ლეჟავა (თსუ), მანუჩარ მარკოიშვილი (მიტელდოიჩერი, გერმანია), ირაკლი საყვარელიძე (თსუ), ვიქტორ სანიკიძე (დიჟონი, საფრანგეთი), ნოდარ ბექაური (დინამო), დავით გვიმრაძე (დინამო), დავით გიორგობიანი (სტუ-ჯეოსელი), გიორგი ხურცია (დინამო), ტატო ჯანეზაშვილი (სტუ-ჯეოსელი), რევაზ ათანელიშვილი (სლოვანი, სლოვენია)



## რეგულარული ჩემპიონატი

25 მარტი

ბოსტონი 0:3 ტორონტო

ფილადელფია 2:4 აილენდერსი

ტამპა 2:1 ნიუ ჯერსი

კოლორადო 1:3 დეტროიტი

მინესოტა 0:4 ოტავა

რეინჯერსი 2:4 ნეშვილი

ჩიკაგო 2:8 მინესოტა

სენტლუისი 3:2 ანაჰაიმი

სან ხოსე 3:2 კალგარი

კაროლინა 3:2 ფლორიდა



## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXVI ტური

ბურგჰაუზენი 1:1 კოტბუსი

ოსნაბრიუკი 3:1 ლიუბეკი

ობერჰაუზენი 0:3 დუისბურგი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXIV ტური

ლაიპციგი 1:2 ვერდერი (მ)

კილი 1:1 დინამო

სამხრეთ რეგიონალლიგა XXIV ტური

ზიგენი 5:1 ფიოხტი

## პორტუგალია

სუპერლიგა. XXVIII ტური

აკადემიკა 2:0 მარიტიმუ

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XXVII ტური

დენ ჰააგი 1:1 ზვოლე

II დივიზიონი. XXX ტური

სპარტა 4:1 აპელდორნი

კამბური 0:1 ეინდჰოვენი

სიტარდი 1:4 ვენლო

ვეენდამი 1:4 ექსელსიორი

იგლსი 5:1 დორდრეხტი

გრააფსხაპი 3:1 ჰერაკლესი

ჰელმონდი 2:3 ემენი

## ავსტრია

I დივიზიონი. XXVI ტური

კაპფენბერგი 1:1 ლუსტენაუ

რიდი — ვიორგლი გადაიდო

ტიროლი 2:0 ლინცერი

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XXIII ტური

ლუცერნი 1:1 ივერდონი

## ირლანდია

პრემიერლიგა. III ტური

შემროკი 2:1 კორკ სიტი

ბოჰემიანსი 2:2 უოტერფორდი

დროჰედა 0:1 სენტ პატრიკსი

## თურქეთი

სუპერლიგა. XXVII ტური

სამსუნი 1:0 გალათასარაი

## პოლონეთი

I ლიგა. XVI ტური

ლეგია 7:2 პოლონია

## ბელგია

თასის ნახევარფინალი საპასუხო მატჩი

ბევერენი 0:0 ანდერლეხტი

# ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 24-25 მარტი

# ცინცაძე მეექვსე ევროქართველია

**24 მარტი** ისტორიული თარიღია გიორგი ცინცაძისთვის — 17 წლისას ევროლიგაში დებიუტი ჰქონდა.

ცინცაძე მეექვსე ქართველია, ვისაც ეს პრესტიჟული და დაუჭაშნიკებია. მანამდე ევროლიგაში ფეხი ჩვენებურებს ამ თანმიმდევრობით შეუდგამთ — სტეფანია, ფაჩულია, ბოისა, ცქიტიშვილი და მარკოიშვილი.

ცინცაძე რუსეთის ორ სუპერლიგურ მატჩში გამოცადეს, სანამ პირეოსში „ოლიმპიაკოსთან“ სათამაშოდ წაიყვანდნენ. მარკუს ბრაუნისა და ჯეიარ ჰოლდენის მყოლ ცსკა-ში 17 წლის გამოუცდელი გამთამაშებლის გამოჩენა სათუო იყო, მაგრამ არმიელებმა საწყის სამ მეოთხედში ჯოჯოხეთი მოუწყეს მასპინძელ ბერძნებს, 20 ქულით დაწინაურდნენ და დუშან ივკოვიჩმაც გიოს მხარზე ხელი დაჰკრა, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანიო.

ცინცაძემ გუშინ ინტერვიუში გვითხრა, რომ ძალიან ნერვიულობდა, თუმც გასაკვირვი ის იქნებოდა, 17 წლის ბიჭი უემოციოდ გასულიყო ვარსკვლავებით მოოჭვილ მოედანზე. 10 წუთში მან თავისიანებს 2 პასი მიაწოდა, ხოლო 2 სამქულიანი გაუცუდდა. ამ ეტაპზე, სტატისტიკა „ოლიმპიაკოსსაც“ წაულია, მთავარი ნდობაა, რასაც ცინცაძე თანდათან იმსახურებს გრძნეულ დუშან ივკოვიჩთან.

ცსკა ერთადერთი წაუგებელი გუნდია მეორე ჯგუფურ ეტაპზე და მომავალ ტურში „ტაუს“ მოსკოვში თუ მოუგო, გაინაღდებს კიდეც ოთხთა ფინალის საგზურს, რომელიც მეორე ჩვენებურის ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიამ“ ამ ტურში შინ „სკიპერთან“ წაგებით დაკარგა.

ამ მატჩში კი ჩვენთვის საინტერესო იყო სანაკრებო დონეზე მომავალი მეტოქეების — ვლადიმერ ბოისასა და ფინელ ჰანო მოტოლას დუელი, რომელიც სკანდინაველის პირწმინდა გამრჯვებით დასრულდა. მოტოლა ბოისას კი არა, მთელს „ოლიმპიას“ არ შეეპუა და 22 ქულით ბოლონიელთა გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა. ბოისა კი მხოლოდ 5 ქულა-მოხსნას დასჯერდა.

სხვაფრივ, ტურის მთავარი მოულოდნელობა „ბარსელონას“ მორიგი საშინაო მარცხი გახლავთ. მოქმედმა ჩემპიონებმა ამჯერად სიენელებთან დათმეს, ოთხში ორი მარცხი დაუგროვდათ და ოთხთა ფინალში გასვლის „ბენეტონზე“ გაცილებით უარესი შანსი აქვთ.

**ირაკლი პერტაია**

### D ჯგუფი

ოლიმპიაკოსი 69:93 ცსკა

ცსკა: ბრაუნი (22), ცინცაძე (10 წუთი, 2 პასი)

ტაუ 95:76 ციბონა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 4 | 4 | 0 | +48 | 8 |
| ტაუ | 4 | 3 | 1 | +24 | 7 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 3 | -34 | 5 |
| ციბონა | 4 | 0 | 4 | -38 | 4 |

### E ჯგუფი

ოლიმპია 73:86 სკიპერი

ოლიმპია: ბოისა (23 წუთი, 5 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა)

სკიპერი: მოტოლა (22)

ეფესი 78:61 პო ორტეზი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 4 | 3 | 1 | +28 | 7 |
| სკიპერი | 4 | 3 | 1 | +25 | 7 |
| ოლიმპია | 4 | 1 | 3 | -16 | 5 |
| პო ორტეზი | 4 | 1 | 3 | -37 | 5 |

### F ჯგუფი

ბარსელონა 85:86 სიენა

ბენეტონი 111:101 პანათინაიკოსი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 4 | 3 | 1 | +16 | 7 |
| ბარსელონა | 4 | 2 | 2 | +12 | 6 |
| სიენა | 4 | 2 | 2 | +12 | 6 |
| პანათინაიკოსი | 4 | 1 | 3 | -40 | 5 |

### G ჯგუფი

ჟალგირისი 95:72 ულძერი

მაკაბი — პამესა გადაიდო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 4 | 3 | 1 | +34 | 7 |
| მაკაბი | 3 | 2 | 1 | +21 | 5 |
| პამესა | 3 | 2 | 1 | -2 | 5 |
| ულძერი | 4 | 0 | 4 | -53 | 4 |

## რეგულარული ჩემპიონატი

25 მარტი

**სან ანტონიო 8:75 დეტროიტი**

სან ანტონიო: ჯინობილი (17), პარკერი (16)

დეტროიტი: რ. ვოლესი (17 ქულა, 14 მოხსნა), ჰამილტონი (15)

**კლიპერსი 94:103 ვაშინგტონი**

კლიპერსი: მეჯიტი (25), ბრენდი (18), ჰაუსი (17)

ვაშინგტონი: ჰიუზი (30 ქულა, 12 მოხსნა), სტეკჰაუზი (20)

**ატლანტა 84:76 ნიუ ორლეანი**

ატლანტა: სურა (23 ქულა, 15 მოხსნა), კროუფორდი (16), კოლიე (16)

ნიუ ორლეანი: ვესლი (16), ოგმონი (13)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge